# სარბიელი

სპორტული გაზეთი ოთხშაბათი 6 აგვისტო 2003 №145 (1916) ფასი 50 თეთრი


# გაფუჭებული დრო

## გაფუჭებული საათი დღეში ორჯერ მაინც ზუსტია, გაფუჭებულ დროში კი იმედის წამიც არ არსებობს

## ბოდიში პესიმიზმისთვის



საქართველოს ნაკრების ფეხბურთელები ხელითაც და ფეხითაც უცხოელი მწვრთნელის მომხრენი არიან.

ცინცხალი ცნობა: ხუთი ნაკრების ხუთ მსოფლიოს ჩემპიონატზე გამყვანი ბორა მილუტინოვიჩი ჰონდურასში მუშაობას დაჰყაბულდა

*საქართველოში ყველაფერი იოლი სათქმელია, ძნელი სათქმელი მხოლოდ ის არის, რომ ყველაზე მეტად გაბურთავებული ხალხი, გულშემატკივარი გახლავს იმიტომ, რომ მასზე არავინ ფიქრობს.*

*ახალი მწვრთნელი, დროებითი მწვრთნელი, ციკლის ჩამამთავრებელი მწვრთნელი, ერთი მატჩის მწვრთნელი, ბიჭების საყვარელი მწვრთნელი, ბიჭების საძულველი მწვრთნელი, კაი კაცი, ცუდი კაცი, დარდიანი კაცი, უდარდელი კაცი, ფიქრიანი კაცი, უფიქრელი კაცი, ეშმაკი კაცი, ალალი კაცი...*

## მოგვბეზრდა!

### მაგრამ დღესაც ასე იქნება: ფედერაცია ნაკრების მწვრთნელს თან იტყვის, თან არ იტყვის

გალაქტიონ ლაითაძე

## წყალში ვდგევარ, მოგონების ცეცხლი მიკიდია

მე საქართველოს არარსებული ნაკრების წევრი ვარ

თბილისში წყალი არ გვქონდა და ტურნირის წინ ფეხბურთით ვვარჯიშობდით

500 დოლარი და აქედან ფეხს არ მოვიცვლიდით



# შუქი პარიზშიც ქრება



ავთანდილ გურასპიშვილი

პარიზული შთაბეჭდილებები

სოკ-ის პრეზიდენტ ჟაკ როგს პარიზელებმა ერთი ადგილი უჩვენეს



# ისევ, ასე და იმიტომ
## ბოდიში პესიმიზმისთვის

**საქართველოს ნაკრები კვლავ უმწვრთნელოდაა.**
**ამბები გასული კვირის მიწურულს მოხდა. მერაბ ჟორდანია ჟურნალისტებს ეუბნებოდა, ივო შუშაკი ციკლს ჩაამთავრებინებს ნაკრებსო, იმავე ღამეს კი „დინამოს" უფროსობამ გამოაცხადა, შუშაკი ნაკრებისთვის ვეღარ მოიცლისო. ტახტი კვლავ ობლობს**

თუმცა, ტახტი არც ეთქმის, ეს არის ყველაზე საშინელი სავარძელი საქართველოში. კაცმა რომ თქვას, სავარძელი არც არის, სკამეიკის კუთხეა: ჩამოჯდები ზედ და შეჰყურებ ნაგებულ საქმეს. პრინციპში ნაგებულს, თორემ მოუგიათ კიდეც. ჯერ ისეთი არ ყოფილა, რომ პრინციპში მოგებულს უყურებდე და ხანდახან ნაგევოს ხოლმე.

ამიტომ, ნაკრების მწვრთნელის თანამდებობა ჩვენში დიდ პირობითობას შეიცავს. ეს პირობითი თანამდებობაა და ასე იქნება, სანამ „პრინციპში ნაგებული" საქმის უფროსი ხარ. ეს უფრო ნაგებული საქმეა, ვიდრე კაზინოში თამაში. არც ერთი დიდი ქართველი ფეხბურთელისთვის, რომლებიც ნაკრებს ხელმძღვანელობდნენ, ამ ხელმძღვანელობას უსიამოვნების მეტი არაფერი მოუტანია, მათი სახელისთვის არაფერი შეუმატებია. იმ ორ უცხოელს, რომლებიც ჯამურად ხუთ მატჩში ედგნენ სათავეში საქართველოს ნაკრებს, არ ჰქონიათ რაიმე შორსმიმავალი გეგმები ამ გუნდთან დაკავშირებით. ისინი ცალი ფეხით სხვაგან იყვნენ და მათი უფროსობაც პირობითობას შეიცავდა. შორტებიანი და მოღრიალე იოჰან ბოსკამპი და ჰალსტუხიანი და დინჯად მოლაპარაკე შუშაკი ჩვენთვის დარჩებიან ორი უბრალოდ დაუვიწყარი თბილისური მატჩის შემოქმედად: ბერძნებთან ნაგებულისა და რუსებთან მოგებულისა. ეს უბრალოდ დაუვიწყარი თამაშები იყო, ისევე, როგორც დავით ყიფიანის ხელმძღვანელობით იტალიელებთან ფრე და ჩივაძის გუნდის გამარჯვება ბულგარელებთან.

თითო დაუვიწყარი თამაში ყველას ჰქონდა.



სამწუხაროდ, ეს არაფერს ცვლის.

ჯამში საქართველოს ნაკრები ყოველთვის ნაგებულია. ამ პოსტის პირობითობა კი იმისკენ გვიბიძგებს, რომ ვთქვათ: ნაკრები ბედს მინდობილი ამბავია და ისე როგორც შარშან შემოდგომით, წლეულსაც ტყუილად უნდა ითამაშოს სამი თამაში, რომელსაც სამომავლო შენებისთვისაც კი არავინ გამოიყენებს. ძველი ამბავია, ძველი სიმღერაა და ძველი ქვეყანა.

ყველაფერი იოლი სათქმელია, ძნელი სათქმელი მხოლოდ ის არის, რომ ამ პირობითობაში ყველაზე მეტად გაბუთავებული გულშემატკივარი გახლავს იმიტომ, რომ მასზე არავინ ფიქრობს. ნაკრები კლუბი არ არის, რომ ერთი პატარა ქალაქი, ან ორი დიდი უბანი დაუდგეს ფეხზე.

საქართველოს ჰყავს კვალიფიციური ფეხბურთელები და არ ჰყავს ნაკრები იმიტომ, რომ არ შეიძლება, ნაკრები არსებობდეს უმწვრთნელოდ. ზოგჯერ იფიქრებ, რომ ჩვენი ნაკრები არსებობს მხოლოდ იმისთვის, რომ სამ წელიწადში ერთხელ ბიჭების განწყობა, ფორმაში ყოფნა, მწვრთნელის გონების ლაღი მუშაობა, გულშემატკივრის ალტკინება ერთმანეთს დაემთხვეს და გამოვიდეს დაუვიწყარი თამაში.

ეს დიდებულია, მაგრამ ეს არაფერია, როცა დროის და მომავლის საზომს მიუყენებ.

ახალი მწვრთნელი, დროებითი მწვრთნელი, ციკლის ჩამამთავრებელი მწვრთნელი, ერთი მატჩის მწვრთნელი, ბიჭების საყვარელი მწვრთნელი, ბიჭების საძულველი მწვრთნელი, კაი კაცი, ცუდი კაცი, დარდიანი კაცი, უდარდელი კაცი, ფიქრიანი კაცი, უფიქრელი კაცი, ეშმაკი კაცი, ალალი კაცი — საქართველოს ნაკრებში ყველა ერთნაირად მუშაობს იმიტომ, რომ ეს ყველაფერი პირობითია. უცხოელი მოდის მიდგომით „ეგებ რამე გამოვიდეს", ქართველი მოდის: „ვნახოთ, მაინც ჩვენიანია და...

ჩვენ კი გაგვაბურთავეს, იმიტომ, რომ არასდროს მოსულა ვინმე, რომელიც ჩამოთვლიდა: ეს, ეს და ეს, ამიტომ, ამიტომ და ამიტომ, იმიტომ რომ ხვალ, ზეგ, მაზეგ ასე ასე და ასე იქნება.

ასე იქნება ახლაც.

ვითომ ციკლს ბოლომდე. მერე ისევ ციკლის ბოლომდე.

ბოდიში პესიმიზმისთვის.

ასეთი დროა.

**ირაკლი გამყრელიძე**



REUTERS ფოტო

ნიუკასლი — ბაიერნი. მიუნხენელთა ერთი გოლი ოუენ ჰარგრივსმა (№23) ამ საჯარიმოთი გაიტანა

# ლიგამ რუსთავი 2-ზე გადართო
## მემორანდუმი — მომე რამდენი

**დღეს** პროფესიული ლიგის მესვეურები კიდევ ერთხელ შეხვდებიან უმაღლესი ლიგის კლუბების პრეზიდენტებს. გასარკვევ-გადასაწყვეტი რომ ბევრი რამაა, ისიც მოწმობს, რომ მათი პირველი შეხვედრა უნაყოფო გამოდგა. რა აქვთ შესათანხმებელი ლიგის ხელმძღვანელებს კლუბებთან? რაღა თქმა უნდა, პირველ რიგში ფინანსური მხარე. წინასწარი ინფორმაციით, ჩემპიონატში მონაწილე გუნდებზე გადასანაწილებელი თანხა 300 ათას ლარამდე იქნება. წესით, ამ ფულის მეტი წილი მოწინავეთ უნდა შეხვდეთ. გასარჩევ-გასარკვევიც ეს არის. რამდენ პროცენტს მიიღებს ჩემპიონი, რამდენს მეორეადგილოსანი? საგულისხმოა ისიც, რომ ასეთ ვითარებაში ბევრის იმედად ვერ იქნებიან საშუალო და აუტსაიდერობისთვის განწირული გუნდები. პრობლემატურია რეკლამის საკითხიც. უმაღლესლიგელებმა ძალაუნებურად პროფლიგის, შესაბამისად, ჩემპიონატის სპონსორებს უნდა გაუწიონ რეკლამა, არადა, ზოგიერთ კლუბს ინდივიდუალური სპონსორი ჰყავს (მაგალითად, „დინამოს" — „ბორჯომი"). ამიტომაც ანგარიშგასაწევია მათი მოსაზრებაც. ასე რომ, დღევანდელ შეხვედრაზე ხმამაღალი ლაპარაკიც არ არის გამორიცხული და ეგებ ხელმოუწერელიც დარჩეს პროფლიგის მემორანდუმი.

მიუხედავად ასეთი ვითარებისა, ლიგის მესვეურებმა გუშინ ჩემპიონატისთვის სასიკეთო პირველი ნაბიჯი გადადგეს. პრეზიდენტი დიმიტრი რამიშვილი ტელეკომპანია „რუსთავი 2"-ის ხელმძღვანელებს შეხვდა თანამშრომლობის წინადადებით.

პროფლიგის პრესსამსახურის ინფორმაციით, რამიშვილს და „რუსთავი 2-"ის შეფს ეროსი კიწმარიშვილს შორის წინასწარი შეთანხმება მიღწეულია და დღე-დღეზე ხელშეკრულებაც გაფორმდება, რომლის თანახმად, ეს ტელეკომპანია ჩემპიონატის ყოველ ტურს მიმოიხილავს. ხელშეკრულების გაფორმებას არაფერი უდგას წინ, უბრალოდ, დასაზუსტებელია პატარ-პატარა დეტალები — გვითხრა პროფესიული საფეხბურთო ლიგის პრესცენტრის ხელმძღვანელმა პაატა ბურჯალიანმა.

ბოლოს კი ისიც ვთქვათ, რომ ლიგის და კლუბების პრეზიდენტთა დღევანდელი შეხვედრა სფფ-ის ოფისში სამ საათზეა დაგეგმილი.

**პაატა ძმანტალიანი**

### ამხანაგური მატჩები

აბერდინი (შოტლანდია) 1:5 ლივერპული (ინგლისი)
ლივინგსტონი (შოტლანდია) 2:0 ფულემი (ინგლისი)
რეინჯერსი (შოტლანდია) 0:3 არსენალი (ინგლისი)
ნიუკასლი (ინგლისი) 2:2 ბაიერნი (გერმანია)
უოტფორდი (ინგლისი) 1:4 ჩელსი (ინგლისი)
როდა (ჰოლანდია) 2:0 ევერტონი (ინგლისი)

### ავსტრია

I დივიზიონი. V ტური

კაპფენბერგი 4:2 ლუსტენაუ
აუსტრია (ლ) 2:0 რიდი
ბად ბლაიბერგი 0:4 ინტერვეტენი
ლინცერი 0:2 ტიროლი
ვიორგლი 1:1 ლეობენი

**საქართველოს ჩემპიონატი** **უმაღლესი ლიგა** **პირველი ეტაპი** 15

# 2 ტური

მიმოხილვა



# გასწორდა!

## რით იწყება პროფფეხბურთი? პროფმოედნით

# ღვეზელზე გოდიში!

**ეროვნული** ჩემპიონატის მეორე ტური მიილია და პროფესიული საფეხბურთო ლიგის კვალი ჯერაც არ ჩანს ქართულ ფეხბურთში. შაბათ-კვირას სტადიონებზე მისულმა შვიდი ათასამდე ქომაგმა ვერც ჩემპიონატის სპონსორთა სარეკლამო დაფებს მოჰკრა თვალი და ვერც სატელევიზიო კამერებს. გულშემატკივრებმა სტადიონების დამცავ ღობეებზე უეფა-სფფ-ის ინიციატივით გამოფენილი ანტირასისტული სამმეტრიანი პლაკატები ნახეს და მათი ხარისხი ზოგიერთი მატჩისას ათი თავით აღემატებოდა.

პროფესიული ლიგის პირველ ნაბიჯებს არც მესამე ტურში უნდა ველოდოთ. არ შედგა 4 აგვისტოს დაგეგმილი პროფლიგის პრეზენტაცია, სადაც ინვესტორებს ქართულ ფეხბურთთან თანამშრომლობაზე ხელი უნდა მოეწერათ. ისლა დაგვრჩენია, ლიგის მესვეურთა დანაპირებს ვენდოთ და იმედი ვიქონიოთ, რომ 16 აგვისტოდან ჩემპიონატი ფულს, რეკლამას შეიძენს და ორგანიზაციულად დაიხვეწება, თუმც ბევრი რამ თავად კლუბების მესვეურთა ნება-სურვილზეა დამოკიდებული. ვნახოთ, ვის რა მადა აღმოაჩნდება, თორემ კომპრომისის გარეშე მემორანდუმზე ხელის მოწერა შეუძლებელი იქნება და სდიე მერე „კოკა კოლას" და „სტიმოროლს".

ახლა კი იმაზე ვთქვათ, ქართულ მოედნებზე როგორ სდიეს ბურთს უმაღლესლიგელებმა.

„დინამო" — „ტორპედოს" მატჩამდელი ინტრიგა პირველ ტაიმშივე მოკლეს ქუთაისელებმა. ფრუიძის გუნდი ფაქტობრივად წინააღმდეგობის გარეშე დანებდა ჩემპიონს და ამაში ყველაზე ნაკლები ბრალი სოსო ფრუიძეს მიუძღვის. თუ ფეხბურთელს თამაში არ სურს, ათი ფრუიძეც ვერ მომართავს გუნდს მოსაგებად. „ტორპედოს" ფეხბურთის თამაშის სურვილი ნამდვილად არ დასტყობია „ეროვნულზე" და შუშაკელებმაც კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგეს ტირანული სევდის გასაქარვებლად.

„ტორპედოს" კაპიტალუცია ორმაგად მტკივნეულია, რადგან „ლანსამდე" ბევრიც არ დარჩენილა და ფრანგებთან თამაშის შემდეგ ეგებ თვალის გახელისაც შერცხვეს ქუთაისელთა თავგამოდებულ ქომაგს.

ორ ტურში „დინამოს" მიერ გატანილ 9 გოლში ლომის წილი დაიდო ლადო ახალაიამ. ლადომ საპირველტურო ჰეთ თრიქს შაბათს დუბლი მიაყოლა და 5 გოლით ქართველ მეგოლეებს თავზე წამოასკუპდა.

კარგია, რომ საპირველტურო სკანდალი, წმინდა საფეხბურთო სენსაციამ შეცვალა. ამბიციური მწვრთნელის, რევაზ არველაძის კრახით დასრულდა მცხეთური მატჩი. უმაღლესი ლიგის დებიუტანტმა და პირველ ტურში 0:7-ით შერცხვენილმა „მცხეთამ" ჩემპიონობისთვის მებრძოლ და საგრძნობლად გაძლიერებულ „ლოკომოტივს" ალიყური აჭამა. როცა გუნდი პირველ მატჩში შვიდ უპასუხო გოლს გაუშვებს და ერთ კვირაში უპირობო ფავორიტს მოინელებს, ეს იმას ნიშნავს, რომ ამ გუნდს ბრძოლის ჟინი აქვს. რკინიგზელებს კი შაბათს პასუხისმგებლობა აკლდათ, უფრო ამიტომ დამარცხდნენ და იმედია, მცხეთური 1:2-ის შემდეგ არველაძეს და მის გუნდს ჟინი და მოტივაცია გაუორმაგდება.

გემრიელი ვაშლივით ჩაკბიჩა „დილამ" „ვიტ ჯორჯია". დამწყები მწვრთნელის ზურაბ ხორგუაშვილის თავკაცობით გორელებმა შინაურ კედლებში შანსი არ მისცეს ვეტერინარებს. მასპინძელთა სიმპათიურ გუნდს მერაბ ძოძუაშვილმა გამოასხა ფრთები. ვეტერინარები დამხვდურთა ფლანგური შეტევებით დაიხვრიტნენ. თბილისელებმა დაცვაშიც უგერგილოდ ითამაშეს და გორულ სარბიელზე, თენგიზ ბურჯანაძის სახელი რომ ეწოდა, 500-მდე მოსეირეს უჩვეულოდ ცოტა დრო ჰქონდა მსაჯების საგინებლად.

გიხაროდენ! საქართველოში სწორი საფეხბურთო მოედანია, ისეთი, რომელზეც ფეხის გადაბრუნების და წაქცევის არ შეგეშინდება, ისეთი, რომელზე გაგორებული ბურთი გვერდზე არ გადაუხვევს, ისეთი, სადაც ბოლოს და ბოლოს ფეხბურთის თამაშის სწავლა შეიძლება. სწორედ ასეთი მოედანი დახვდათ შაბათს „თემურ სტეფანიაზე" მისულთ. ბოლნისური მწვანე მართლაც გამორჩეული და სანაქებოა. ქვემოქართლელებმა სტადიონიც გააკოხტავ-გააევროპულეს და გუნდიც ოსტატური ჰყავთ. საუეფასთასო სამზადისში მყოფმა „სიონმა" მოულოდნელად დაწინაურებულ „მერცხალს" კლასის და ჟინის ხარჯზე მოუგო და ეგებ ამით მახარაძის გუნდი „პუხოვთანაც" რამეს ჟამორჩეს.

„ბათუმი" — „კოლხეთის" [illegible] ხალხმა მზეზე გარუჯვა არჩია და არც გაემტყუნებათ. დამსვენებლებით გადაჭედილ ბათუმში მხოლოდ რვაასამდე ქომაგმა ისურვა ზღვისპირულ დერბიზე მიბრძანება და ისინიც გაწბილებული დარჩნენ. ზოზინა ბურთაობაში „კოლხეთმა" იხეირა თაყაძის კინკილა გოლით. ამ მატჩმა ცხადყო, რომ მყვარებელ მიტოვებულ „ბათუმს" წლეულსაც უმაღლეს ლიგაში დარჩენაზე ფიქრი მოუწევს.

„თბილისის" მორიგ მატჩს მსაჯი არ გადაჰყოლია. თემურ ლორთქიფანიძის გუნდმა უპრობლემოდ სძლია აუტსაიდერ „სპარტაკს". ჯაკობიამ და კომპანიამ თავის გემოზე აგორეს ბურთი და მეორე ტაიმში ერთბაშად სამჯერ მოარგეს გასაღები ექსმილანელ ზურაბ მამალაძის კარს.

**პაატა ქვანტალიანი**



„დილა" — „ვიტ ჯორჯია". სტუმართა რბევა მერაბ ძოძუაშვილმა დაიწყო და დაამთავრა

### სიმბოლური ნაკრები

ლადო ახალაია — დინამო
მერაბ ძოძუაშვილი — დილა
ჯამლეტ ნიშნიანიძე — სიონი
ბიძა ნოზაძე — მცხეთა
იური გაბისკირია — სიონი
ლაშა ძიგაძე — მცხეთა
დავით დათიაძე — თბილისი
ალეკო ამისულაშვილი — დინამო
რევაზ ხაჭაპურიძე — დილა
კახა გოგოხია — კოლხეთი
რამაზ სოლოღაშვილი — დილა

გუნდი: მცხეთა

მწვრთნელი: ზურაბ ხორგუაშვილი



ზურაბ ხორგუაშვილი: გამარჯვებულმა ხელი ასწიოს

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| 5 - ახალაია | დინამო |
| 2 - გაბისკირია | სიონი |
| გოგობერიშვილი | დინამო |
| გოცირიძე | ვიტ ჯორჯია |
| ვ. გოჩაშვილი | ვიტ ჯორჯია |
| ძოძუაშვილი | დილა |

| № | გუნდები | სულ თ | სულ მ | სულ ფ | სულ წ | სულ ბ | სულ ს | სულ ქ | შინ თ | შინ მ | შინ ფ | შინ წ | შინ ბ | შინ ს | შინ ქ | სტუმრად თ | სტუმრად მ | სტუმრად ფ | სტუმრად წ | სტუმრად ბ | სტუმრად ს | სტუმრად ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | დინამო | 2 | 2 | 0 | 0 | 9:0 | 9 | 6 | 2 | 2 | 0 | 0 | 9:0 | 9 | 6 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 |
| 2 | სიონი | 2 | 1 | 1 | 0 | 5:2 | 3 | 4 | 1 | 1 | 0 | 0 | 4:1 | 3 | 3 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 |
| 3 | დილა | 2 | 1 | 1 | 0 | 3:0 | 3 | 4 | 1 | 1 | 0 | 0 | 3:0 | 3 | 3 | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 0 | 1 |
| 4 | კოლხეთი | 2 | 1 | 1 | 0 | 1:0 | 1 | 4 | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 0 | 1 | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 1 | 3 |
| 5 | ვიტ ჯორჯია | 2 | 1 | 0 | 1 | 7:3 | 4 | 3 | 1 | 1 | 0 | 0 | 7:0 | 7 | 3 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:3 | -3 | 0 |
| 6 | თბილისი | 2 | 1 | 0 | 1 | 4:2 | 2 | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 2 | 1 | 0 | 1 | 4:2 | 2 | 3 |
| 7 | ტორპედო | 2 | 1 | 0 | 1 | 2:3 | -1 | 3 | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 2 | 3 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:3 | -3 | 0 |
| 8 | მერცხალი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:5 | -2 | 3 | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 1 | 3 | 1 | 0 | 0 | 1 | 1:4 | -3 | 0 |
| 9 | მცხეთა | 2 | 1 | 0 | 1 | 2:8 | -6 | 3 | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 1 | 3 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:7 | -7 | 0 |
| 10 | ლოკომოტივი | 2 | 0 | 1 | 1 | 2:3 | -1 | 1 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | -1 | 0 |
| 11 | ბათუმი | 2 | 0 | 0 | 2 | 0:3 | -3 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | -1 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | -2 | 0 |
| 12 | სპარტაკი | 2 | 0 | 0 | 2 | 0:9 | -9 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:3 | -3 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:6 | -6 | 0 |

### სტატისტიკა

| ჯარ. | კუთხ. | კარისკენ | კარში | თამაშგ. |
|---|---|---|---|---|
| 26 | 24 | 24 | 25 | 7 |
| 31 | 6 | 8 | 12 | 4 |
| 33 | 10 | 9 | 7 | 7 |
| 39 | 6 | 11 | 8 | 9 |
| 21 | 14 | 10 | 22 | 6 |
| 58 | 10 | 7 | 11 | 8 |
| 18 | 12 | 10 | 15 | 3 |
| 55 | 8 | 6 | 7 | 9 |
| 24 | 3 | 8 | 4 | 2 |
| 28 | 10 | 11 | 5 | 5 |
| 31 | 8 | 10 | 4 | 6 |
| 47 | 7 | 7 | 3 | 4 |

## ამხანაგური მატჩი

**ტოკიო (იაპონია) 0:3 რეალი (ესპანეთი)**

0:1 ბექემი (38), 0:2 სოლარი (45), 0:3 რონალდო (89)

**ტოკიო:** დოი, კაჯი, ფუჯიამა, მონიდა, კანაზავა, მიურა (ასარი 70), მიზაიავა (კაჯიამა 63), ტოდა (კონდო 65), ბაბა (ფუკუდა 84), კელი, აბე (ოში 46)

**რეალი:** სესარი, სალგადო, რუბენი (პავონი 46), ელგერა, რაულ ბრავო (რობერტო კარლოსი 46), ბექემი, მაკელელე (კამბიასო 46), სოლარი, ფიგუ (სელადესი 75), რაული, პორტილიო (რონალდო 46)

გაფრთხილება: ბექემი

მსაჯი: მასაიოში ოკადა (იაპონია)

65 000 მაყურებელი



# გაიტანა!

## პირველი გოლი დიდი ბექიბუქის შემდეგ

**დევიდ ბექემმა** გოლი გაიტანა! ეს მადრიდის „რეალის" შემადგენლობაში მის მეორე შეხვედრაში მოხდა, იაპონურ „ტოკიოსთან" გაჯიბრებისას. თამაში მუსონურ თავსხმაში მიმდინარეობდა. „რეალმა" სამი უპასუხო გოლი გაიტანა.

ბექემის გოლი 38-ე წუთზე ასე გავიდა: სანტიაგო სოლარი კარიდან 25 მეტრში წააქციეს, რისთვისაც ჯარიმა დაინიშნა. ინგლისის ნაკრების კაპიტანმა დიდოსტატურად დაარტყა და ბურთი შორეულ კუთხეში ჩააზვია.

ამ ამბავს 65 ათასი მაყურებელი ესწრებოდა, რომელიც საყვარელი ნახევარმცველის ოსტატობას აღფრთოვანებული შეხვდა.

მეორე გოლი ზემოხსენებულმა სოლარიმ გაიტანა. ეს შესვენების წინ მოხდა, ოღონდ მანამდე იაპონელმა მეკარემ იოჩი დოიმ ხავიერ პორტილიოს დარტყმული მოიგერია და ასხლეტილი ბურთის დამატებამლა მოიტანა მადრიდელთა მეორე გოლი.

მესამედ „რეალმა" 89-ე წუთზე შეაგდო. ეს შეცვლაზე შესულმა რონალდომ საჯარიმოს კიდიდან ოსტატურად გაახერხა. ერთი სიტყვით, მადრიდელებმა ერთობ ღირსეულად წაიბურთავეს.

აღსანიშნავია, რომ ბექემმა კიდევ ერთი ჯარიმით აალელვა ტრიბუნები, ოღონდ ამ შემთხვევაში მეკარემ იყოჩაღა. იყო კიდევ ეპიზოდი, როდესაც ბექემმა მარჯვენა ფრთიდან რაულს ჩააწოდა ჩინებულად, მაგრამ რაულმა ბურთის მოთვინიერება ვერ შეძლო.

კიდევ უნდა ითქვას, რომ ამ დღეს ინგლისის ნაკრების კაპიტანი უფრო ჰუიდან თამაშობდა, ვიდრე ამასწინათ პეკინში, იქაურ „დრაკონთან" შეხვედრაში, თუმცა ამას თავისი ახსნაც აქვს — ეს ახსნა დაშავებული ზინედინ ზიდანის არყოფნა გახლავთ.

65-ე წუთზე ბექემის გონივრულმა პასმა რონალდოს გააგრძელებინა მწვავე შეტევა, რომელიც საბოლოოდ რაულის გოლით უნდა დასრულებულიყო, მაგრამ მეკარის მიერ ბურთის მოგერიებით დამთავრდა

სამი წუთის შემდეგ რონალდომ ჩვეული გარღვევა წამოიწყო, ოღონდ ძელს გაარტყა ბურთი.

**ბაჩუნა ძიძია**

## არშემდგარი სენსაცია: 100 000 000 ევრო რაულში

# ვიღაცამ არწივის ბუდეს გადაუფრინა

## ის ვიღაც, რა თქმა უნდა, რუსი ოლიგარქი იყო

**მადრიდის „რეალი"** ამჟამად მსოფლიოში ყველაზე იღბლიანი ვარსკვლავთმტაცებელი გუნდია. წარმატებული სატრანსფერო პოლიტიკითა და ჭკვიანური ვაჭრობით კასტილიური სამეფო არწივის ფრთებქვეშ ისეთ ბრწყინვალე მართვეებს დაუდევთ ბინა, რომელთა მარტო სახელიც კი (მინდორზე მათ საქმიანობას ვინლა დაეძებს) ნებისმიერი მეტოქე გუნდისთვის თავისებური საფეხბურთო ტრანსის ტოლფასია. არწივი აქ შემთხვევით არ გვიხსენებია — ალბათ იცით, რაოდენ ძნელია ამ ამაყი ფრინველის ჯერ ბუდემდე მიღწევა და მერე იქიდან მართვეების წამოყვანა. ეს სახიფათო საქმე ხშირად სავალალოდაც მთავრდება, თუმც ფრთოსანთა მეფის საბუდარში მოძრომიალე ავანტიურისტთა ნაირსახეობებს თანამომძმეთა მარცხი არ აშინებთ და გამარჯვების წყურვილატანილნი უფრო მეტი შემართებით იწყებენ საბედისწერო მწვერვალების დალაშქვრას. ერთ-ერთი მათგანი კი „ჩელსის" პრეზიდენტი, რუსი მილიარდერი რომან აბრამოვიჩია. მადრიდული „ასის" ჟურნალისტები ერთი ვერშემდგარი, მაგრამ თავისი არსით სენსაციურზე სენსაციური გარიგების შესახებ იტყობინებიან. აღმოჩნდა, რომ მსოფლიო ფეხბურთის ციცაბო ჭიუხებზე გაბედული ცოცვა არც აბრამოვიჩისთვის ყოფილა უცხო ხილი, მიუხედავად მისი, ასე ვთქვათ, ფრიად ვაკე-სტეპური წარმოშობისა. რუსი ოლიგარქი ლონდონური კლუბის გასაძლიერებლად ყველაფერს ღონობს და ამას წინათ არწივის ბუდეშიც ჩაკრა ხელი იქიდან ერთი მეტად სახელიანი ბარტყის — რაულ გონსალეს ბლანკოს წამოსაყვანად. ეს ამბავი, რაც უნდა უცნაური იყოს, შუა ივლისში მომხდარა და სენსაციებზე მონადირე ესპანური მედია დაგვიანებულ, მაგრამ მაინც სანუკვარ ნუგბარს ოდენ ახლა თუ აგემოვნებს. მოკლედ, თანმიმდევრობით მივყვეთ.

კასტილიურ ოტელ „ევრობილდინგში" („სანტიაგო ბერნაბეუსთან" ახლოს რომ მდებარეობს) დიდი საძეული შეიკრიბა — მარკ როჯერი („ჩელსისა" და აბრამოვიჩის წარმომადგენელი), სანტოს მარკესი (ბრიტანული ფეხბურთის კარგად მცოდნე სპეციალისტი) და ხინეს კარბახალი (რაულის პირადი აგენტი). შეხვედრა მოკლე, მაგრამ საქმიანად ბასრი გამოდგა. როჯერმა კარბახალს ინგლისელთა ზრახვანი ამცნო და ისიც დაუმატა, რომ თუ ფეხბურთელს ალბიონზე ბურთაობის სურვილი ექნებოდა, „არისტოკრატია" პრეზიდენტი თანახმა იყო, „რეალის" კაპიტანში გადაეხადა... თუმც ოლიგარქული თანხის რაოდენობა ჯობს, ბოლოსკენ შემოვინახოთ და კარბახალის საპასუხო რეაქცია შევაფასოთ: მიუხედავად იმისა, რომ თავისი მობურთალის „რეალისადმი" ერთგულების ამბავი მშვენივრად უწყოდა, სატრანსფერო ევროთა რაოდენობით შეფიქრიანებულმა აგენტმა დაუყოვნებლივ გადარეკა რაულთან და ჯერ არნახული გარიგების შესახებ მოახსენა. გონსალეს ბლანკოს პოზიცია კი მაინც ურყევი იყო. „ამ თემაზე საუბარიც არ მინდა. არანაირ შემოთავაზებას არ მივიღებ და მადრიდიდანაც არსად წასვლა არ მსურს!" — ნაწყვეტნაწყვეტ გაიჟღერა კარბახალის ტელეფონში სამეფო გუნდის წევრის უკმაყოფილო სიტყვებმა. რაულს კიდევ ორი სეზონი რჩება მადრიდული კონტრაქტის გასრულებამდე და ფლორენტინო პერესსაც დიდი იმედი აქვს, რომ ახალგაზრდა კაპიტანი კვლავაც „ბერნაბეუზე" დარჩება. „2005 წლამდე დიდი დროა, მაგრამ შემიძლია, დარწმუნებით გითხრათ, თუ რაიმე სასწაული არ მოხდა, რაული ჩვენთან თანამშრომლობას არ გაწყვეტს" — განუცხადა პერესმა ესპანელ ჟურნალისტებს. „რეალის" სპორტული დირექტორიც ამავე აზრისაა. „ჩვენი კლუბი რაულის მისამართით გაკეთებულ შემოთავაზებებს არასერიოზულად აღიქვამს. ფეხბურთელს „რეალში" დარჩენა სურს." — უთხრა ხორხე ვალდანომ „ასის" წარმომადგენლებს. ასე რომ, აბრამოვიჩს არწივის ბუდე ცარიელი დაუხვდა. ჰო, მართლა: „ჩელსის" თავკაცობა კასტილიელ მართვეში სრულ 100 მილიონ (!) ევროს იხდიდა, მაშინ როდესაც მსოფლიოში ყველაზე ძვირფასი ტრანსფერი (ზიდანი+„რეალი") რაღაც „საცოდავ" 64 მილიონს შეადგენს.

**ლადო ხომერიკი**





აბრამოვიჩს უნდა, ვარსკვლავები ბავშვის სათამაშოებივით იყიდოს

# აბრამოვიჩი კისრულობს

## ლუჟკოვის ვერსიით, მან რუსეთს შეაფურთხა

**რომან აბრამოვიჩს** ფული აწუხებს. რუსი მილიარდერი დახარჯვას ლამობს და ნებიმიერი ფეხბურთელის სანაცვლოდ ნებისმიერი თანხის გადამხდელია. მას „ჩელსის" სუპერკლუბობა ისე ძალიან სწყურია, რომ რაულის, რონალდოს, ვიეირასა და სხვა მსხვილვარსკვლავთა შეხუჭუჭებას ყველა ხერხით, ცხადია, მილიონებით, ცდილობს.

„არისტოკრატები" ჯერჯერობით მხოლოდ ოთხი ფეხბურთელით გამდიდრდნენ. ამჟამინდელი შემადგენლობით მომავალ სეზონში წარმატებას თუ ვერ მივაღწიეთ, ორჯერ მეტს დავხარჯავო, თქვა აბრამოვიჩმა. „თავიდან არცკი მიფიქრია, დაახლოებით რამდენი დამიჯდებოდა „ჩელსისგან" სუპერკლუბის შექმნა. მხოლოდ შედეგი, ჯილდოები და გახარებული გულშემატკივრების სახეების ნახვა მსურს. იმდენ თანხას გავიღებ, რამდენიც საბოლოო მიზნისთვის იქნება საჭირო. უკან ერთი ნაბიჯითაც კი არ დავიხევ. ნამდვილად არ ველოდი, რომ „ჩელსის" შეძენა ინგლისში ასეთი რია-რიას გამოიწვევდა, მაგრამ ინგლისში ფეხბურთი განსაკუთრებულად რომ უყვართ, ახლა დავრწმუნდი."

ერთი კვირის წინ მოსკოვის მერმა, იური ლუჟკოვმა, რომან აბრამოვიჩისგან „ჩელსის" ყიდვას რუსეთისთვის მიფურთხება უწოდა. აქაური ბიზნესმენები ფულს რუსულ კლუბებზე უნდა ხარჯავდნენო.

მილიარდერმა მერს BBC-ის ეთერით უპასუხა: „ზოგიერთ ვაი-პატრიოტს რატომღაც მიაჩნია, რომ ფული რუსულ სპორტში უნდა დაებანდო. რუსეთი ინგლისს ვერ შეედრება. აქ გაცილებით მეტი თავისუფლებაა და ვფიქრობ, სწორად მოვიქეცი."

„არისტოკრატთა" მეხუთე შენაძენი შესაძლოა, ხუან სებასტიან ვერონი გახდეს. აქამდე „მანჩესტერი" არგენტინელს 15 მილიონ გირვანქად თმობდა, მაგრამ ახლა მეტი მოითხოვა. ინგლისური პრესის ცნობით, „ჩელსის" ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო მატჩებისთვის ვერონით გაძლიერება თუ სურს, ფული დროზე უნდა გადათვალოს და 15 მილიონზე მეტი.

სერ ალექსმა თქვა, ხუან სებასტიანი პრემიერლიგის დაწყებისთვის ჩვენთან იქნება თუ არა, ვერ გეტყვით, არ ვიცი...

**მაია ხუციშვილი**



ვერონი + ჩელსიზე ისევ ილაპარაკებენ



# ოვერმარსი შეყვარებულია

## კატალონია ის ერია, რომლის საზღვრებსაც „ბარსელონას“ ლაშქარი იცავს!

*მარკ ოვერმარსი „ბარსელონასთან“ თანამშრომლობის გაგრძელებით მეტად კმაყოფილია. ჰოლანდიელი მომავალ პრიმერაში დიდ გამარჯვებებს გეგმავს და კატალონიელ ინჩასებს ტიტულებს ჰპირდება. ოვერმარსს ესპანური „სპორტის“ ჟურნალისტები გაესაუბრნენ*

**— რა განსხვავებაა ახალსა და ძველ „ბარსას“ შორის?**

— კლუბი მთლიანად შეიცვალა. ყველაფერი ახალია — პრეზიდენტი, მისი დირექცია, მწვრთნელი და საფეხბურთო ფორმაც კი. ყოველი მნიშვნელოვანი ცვლილება „ბარსელონას“ გასაძლიერებლად კეთდება და ამას, რა თქმა უნდა, ფეხბურთელებიც კარგად ვამჩნევთ.

**— რას სთავაზობს თავის გუნდს მარკ ოვერმარსი?**

— ვფიქრობ, როგორც მე, ისევე ყველა ჩვენი ფეხბურთელი ვალში ვართ კატალონიელ გულშემატკივრებთან. ჩვენ ხომ ამდენი ხანია, არავითარი ტიტული არ მოგვიგია. „ბარსას“ ისტორია და სახელი კი ამას არ იმსახურებს.

**— მაშინ ერთ გაცვეთილ შეკითხვაზეც გვიპასუხეთ. როგორი წინათგრძნობით ხვდებით ამ სეზონს?**

— ჯერჯერობით მომავალი უიმედოდ არ მეჩვენება. ყოველ შემთხვევაში, მარცხსა და დაბრკოლებაზე არ ვფიქრობ. უკვე ორი კვირაა, რაც ახალი დამრიგებლის მითითებების მიხედვით ვშრომობთ და ბიჭებს უზარმაზარი ოპტიმიზმი და საქმისდმი დიდი სიყვარული შევამჩნიე. დრო რომ მოვა, ეს ყველაფერი ჯილდოების მოგებაში გადაიზრდება, მაგრამ ამისთვის კიდევ მცირედი მოთმინებაა საჭირო.

**— როგორ ოვერმარსს ვნახავთ 2003-04 წლების პრიმერაში?**

— მინდა, რომ ხალხმა მარკ ოვერმარსი თავის საუკეთესო ფორმაში მყოფი იხილოს. როგორც უკვე გითხარით, კატალონიელთა წინაშე თავს ვალდებულად ვგრძნობ და ვეცდები, ჩემი მათდამი მადლიერება კარგი ბურთაობით გამოვხატო.

**— მოედნის მარჯვენა ფლანგზე უფრო მოგწონთ თამაში თუ მარცხენაზე?**

— როდესაც მარცხნიდან ვუტევ, ჩემი ფეხბურთი ყველაზე უკეთ წარმოჩინდება ხოლმე. ამიტომაც ამ ფლანს ვარჩევ. ბურთის ხეირიანად დამორჩილება არც მარჯვენა პოზიციაზე მიჭირს, მაგრამ საპირისპირო მხარეს თამაში გაცილებით უკეთესად გამომდის.

**— ფრანკ რაიკარდით თუ ხართ კმაყოფილი?**

— ფრანკის საწინააღმდეგო რა უნდა მქონდეს, „აიაქსში“ ორი ბრწყინვალე სეზონი გავატარეთ ერთად. მისი მწვრთნელობა „ბარსასთვის“ მხოლოდ მომგებიანი იქნება.

**— თქვენს ახალ დამრიგებელს ჯერ კიდევ მაშინ იცნობდით, როცა ჰოლანდიისა და ევროპის ერთ-ერთი საუკეთესო მობურთალი იყო. რას გვეტყვით ფეხბურთელ და მწვრთნელ რაიკარდზე?**

— მინდორზე გარჯისას შეიძლებოდა, მოგჩვენებოდათ, რომ სხვებზე ზანტად ირჯებოდა, არადა, ეს მხოლოდ წამიერი ილუზია გახლდათ — როდესაც საქმეს სჭირდებოდა, ფრენკს ელვის სისწრაფით შეეძლო მიეღო სწორი და საფეხბურთო ეპიზოდის შესაბამისი გადაწყვეტილება. როგორც მწვრთნელი, ძალიან ძლიერია, ფეხბურთელებს თითქოს ჯადოსნური თვალით შესცქერის. რაიკარდმა ყველაფერი იცის, რაც გუნდს სამომავლო გამარჯვებისთვის დასჭირდება.

**— ამერიკულ სეზონთაშორისს როგორ შეაფასებდით?**

— ეს ტურნე საკმაოდ კარგად ჩავატარეთ, არცთუ ცუდი გამოსვლები გვქონდა. „ბარსელონასა“ და ჩემი თამაშით კმაყოფილი დავრჩი.

**— კარიერის დასრულებას კატალონიაში აპირებთ?**

— ჩემთვის „ბარსა“ მსოფლიოში უძვირფასესი ადგილია. უკეთეს გუნდს ვერ გამოვძებნი.

**— რაიკარდის კლუბში თქვენი ადგილი უკვე მყარად დაიმკვიდრეთ...**

— ეს ჩემთვის სასიხარულო ფაქტია, რადგან ამაში ხელმძღვანელობისა და გულშემატკივრების ნდობას ვხედავ. ცოტა ფეხბურთელი კი არ წავიდა ამ ბოლო დროს კატალონიური გრანდიდან — რიკელმე, მენდიეტა, სორინი, როჩემბაკი... სწორედ ამიტომაც ვარ ვალში „ბარსელონას“ ინჩასებთან — მათ ხომ გამარჯვების სიხარული სწყურიათ.

**— თქვენ ადგილობრივ ფანებზე უფრო გულანთებული ლაპარაკობთ „ბარსას“ შესახებ...**

— თუ ნებას დამრთავთ, ამაზე ჩემსავით უცხოტომელის, მაგრამ თქვენი ულამაზესი სამშობლოს დიდი თაყვანისმცემლის ბობი რობსონის ფრაზით გიპასუხებთ: „კატალონია ის ერია, რომლის საზღვრებსაც „ბარსელონას“ ლაშქარი იცავს!“



ეროვნული ბიბლიოთეკა

# არის, აღსრულდა!

## კაი მაკაის კაი კონტრაქტი

**როი მაკაის** გალისიური „დეპორტივოდან“ მიუნხენის „ბაიერნში“ გადასვლის ამბავი ისე გაჯანჯლდა, ყველაზე მომთმენი და რკინის ნებისყოფის მქონე ფეხბურთით დამაშვრალთა სამართლიანი უკმაყოფილება გამოიწვია. ახლახან გაუწყეთ გერმანელთა 21-მილიონიანი შეთავაზების შესახებ, მაგრამ მას მერე ლა კორუნიის ფლაგმანსა და ბეკენბაუერის გუნდს კარგა მოზრდილი სატრანსფერო გაუგებრობის ღრუბელი შემოეხვია. ალემანებმა პირველად ნათქვამი თანხა უარყვეს და ავგუსტო სესარ ლენდოიროს („დეპორის“ პრეზიდენტი) მაკაის გადაბირების თაობაზე მეტად ბუნდოვანი ვაჭრობა შესთავაზეს. ყველაფერი კი 4 აგვისტოს, ხანგრძლივ ესპანურ-ბავარიული მიმოსვლის შემდეგ, ჰოლანდიელი მეგოლისა და „ბაიერნის“ მრავალრიცხოვან გულშემატკივართა სასიხარულოდ გადაწყდა — როი მაკაი მომავალ ოთხ სეზონს ბუნდესლიგაში გაატარებს. „როი „ბაიერნში“ გადადის და ამ თემაზე ყოველგვარი საუბარი დასრულებულია. სამწუხაროა, რომ გალისიაში დარჩენა აღარ მოინდომა. „დეპორტივოს“ კი ყოველთვის შეუძლია, იამაყოს, რომ საკუთარ რიგებში მაკაისთანა ფეხბურთელი ჰყავდა“ — განაცხადა პრეზიდენტმა ლენდოირომ. საგულისხმოა, რომ წლევანდელი „ოქროს ბუცის“ მფლობელის სატრანსფერო თანხა ჯერ კიდევ მთლიანად გარკვეული არ არის (!), მაგრამ ყოველივე ამას ნათელი 24 საათის განმავლობაში მოეფინება, ოდეს ული ჰოინესი („ბაიერნის“ კომერციული დირექტორი) სიტყვიერ გარიგებას მავანი ექვს ნოლიანი ციფრის მქონე ფაქსით დაამოწმებს. სავარაუდო ფასი კი 20 მილიონი ევროა. იმავე ლენდოიროს თქმით: „მაკაის საქმე ძალიან რთული იყო და ბანერის ჩახლართულ პარტიას წააგავდა სხვადასხვა კატეგორიის მქონე მოთამაშეებითურთ. ამჟამად შეგიძლიათ, ბავარიელებსა და უკვე ყოფილ „დეპორელს“ მიულოცოთ, უახლოეს დროში 4-წლიანი კონტრაქტი საბოლოოდ გაფორმდება.“ თავად ჰოლანდიელი მობურთალი ესპანური კლუბისა და მისი თაყვანისმცემლების მადლიერია. „მინდა გალისიელებს „დეპორტივოში“ გატარებული ფანტასტიკური სეზონებისთვის მადლობა გადავუხადო. აქ მრავალ წარმატებას მივაღწიე, ესპანეთის მთავარი მეგოლე და „ოქროს ბუცის“ მფლობელი გავხდი. აქაურობას რა დამავიწყებს“ — აღიარა გულაჩუყებულმა მაკაიმ. თუმც ლა კორუნიელი ინჩასები მთლად კმაყოფილნი ვერ უნდა იყვნენ მშობლიური კლუბის ესოდენი შესუსტებით, რაც როის მისამართით გვარიან სტვენა-შეძახილებში გამოიხატა. „დეპორტივოს“ ფიცხი დამრიგებელი კი გუნდში დარჩენილ სხვა ჩაუქ თავდამსხმელთა იმედზეა. „მართალია, მაკაი მიდის, მაგრამ გუნდში ლუკე, ტრისტანი და პანდიანი რჩებიან. გოლების გატანა მათაც შეუძლიათ და „დეპორის“ სხვა წევრებსაც“ — უთხრა ხავიერ ირურეტამ ესპანური „მარკას“ ჟურნალისტებს. მაშ ასე, გაჭიანურებული ტრანსფერი უკვე ჩამთავრდა, აწ ბაიერნელი როი მაკაი კი უკვე შაბათს ითამაშებს იქაურ ბუნდესლიგაში „ჰანოვერ 96“-ის წინააღმდეგ.

**ლადო ხომერიკი**

# მაცადეთ, ბატონო!

## ჰალილჰოჯიჩი პარიზელ წუნიებს გაეპასუხა



**სრულიად** პარიზი ვაჰიდ ჰალილჰოჯისგან სასწაულს კი არა, უბრალოდ, ერთი მატჩის მოგებას ელოდა. პსჟ პირველ ტურში კორსიკულ „ბასტიას“ ეჯაჯგურა, მაგრამ გოლი ვერ გაუტანა. მასპინძლებს კუთხურის ჩაწოდებაც კი არ ეღირსათ.

დედაქალაქელმა ქომაგებმა ბოსნიელ მწვრთნელს გუნდი დაუწუნეს და ნამატჩევს პრეტენზია გამოთქვეს. „ლილის“ და „რენის“ ყოფილი დამრიგებელი პასუხისმგებლობას არ გაჰქცევია და გულშემატკივრების დამშვიდება სცადა.

„ჩვენ პედრო პაულეტას გარეშე ვითამაშეთ. მას მსუბუქი ტრავმა აქვს და როგორც კი გამოკეთდება, შედეგიც მოვა. რამდენიმე კვირაში თქვენ პსჟ-ს ნამდვილ შესაძლებლობას და ძალას ნახავთ. ზოგიერთი ფეხბურთელი ჯერ სრულ ფორმაში არ არის. ცოტა ხანს გვაცალეთ და გუნდი მთელი სიმძლავრით ათამაშდება, ძალიან ბევრ გოლსაც ნახავთ. მე ოთხწლიანი კონტრაქტი გავაფორმე და სამუშაოდ დრო მაქვს. პარიზში რატომღაც ყველაფერი მყისვე უნდათ, ეს კი შეუძლებელია. ერთ დღეში გუნდის შეთამაშება აბსურდია.“

**გაგა ხუციშვილი**

# გატუზო მომავალი მალდინია
## კახა კალაძის მეგობარს კაპიტნობას უპირებენ

გატუზოს ხსენებისას უმალ მანჩესტერული ლიგის ფინალის პერიპეტიები გაგიელვებთ და უმთავრესად ის მომენტი, რინომ (მეტსახელია) კარლო ანჩელოტის — იმან რომ უთხრა, შეგცვლიო — ტელეკამერების და მილიონობით მაყურებლის თვალწინ ხელი რომ აუქნია, მოედნიდან არაფრისდიდებით გავიდა და ფინალიც ვაჟკაცურად ჩაამთავრა.

„სწორედ გატუზოა „მილანის" ლიდერი" — წერს „გაძეტა დელო სპორტი".

კარლო ანჩელოტი კი შეგირდს ასე ახასიათებს: „ფუტკარივით მუშა, სულით მებრძოლია. „იუვენტუსთან" ჩემპიონთა ლიგის ფინალში შეცვლა რომ დავუპირე, ვიფიქრე, დაიღალა-მეთქი, მაგრამ... რინოს რომ თვალებში ჩავხედე, უმალ მივხვდი, შეიძლებოდა, საბედისწერო შეცდომა დამეშვა. თამაშში მთელი არსებით ჩაფლული არ უნდა გამეყვანა."

ერთი სიტყვით, ჯენარო გატუზო „მილანის" სული და გული, ანჩელოტის აწყობილი მექანიზმის მოტორი ყოფილა.

ადრიანო გალიანიმ კი არც აცია, არც აცხელა და ჟურნალისტებს გულისნადები გაანდო: „სამწუხაროდ, დადგება დრო, როცა ჩვენს დიდ კაპიტანს პაოლო მალდინის თამაშის მიტოვება მოუწევს. გუნდსაც ახალი კაპიტანი დასჭირდება. ვფიქრობ, გატუზოს კანდიდატურა იდეალური იქნებოდა."

რაო, რაო? გატუზო „მილანის" კაპიტანიო? იტალიელმა ჟურნალისტებმა, ცხადია, ეს ამბავი მალდინისაც შეატყობინეს და სხვა ფეხბურთელებსაც. მალდინი მშვიდად

*დავიწყოთ ასე: თქვენი აზრით, ვინ არის „მილანის" ლიდერი? ანდრეი შევჩენკო? არა. ფილიპო ინძაგი? არა. პაოლო მალდინი? არა. ალესანდრო ნესტა? არა...*

*აქ შევჩერდეთ. თუ მიხვდით, ხომ კარგი, თუ არა და, გეტყვით, ოღონდ აქედანვე შევთანხმდეთ, ეს ჩვენი მოსაზრება არ გეგონოთ.*

*მაშ, ვინ? ვინ და „როსონერის" მე-8 ნომერი, ივან ჯენარო გატუზო*



შეხვდა ყოველივეს, სავარაუდო მემკვიდრის თაობაზე გალიანის კვერიც დაუკრა: „რინო გატუზო „მილანის" კაპიტანი? ეს ხომ ჩინებულია."

ისე როგორ იქნებოდა, ჩვენებური კახა კალაძის აზრიც არ გაგვეგო. მით უმეტეს, ვიცით, კახა გატუზოსთან მეგობრობს, მასთან, შევჩენკოსთან და პირლოსთან ერთად ატარებს თავისუფალ დროს: „ჰო, მართალია. გალიანიმ გვითხრა, გატუზოს კაპიტნობაზე რას იტყვითო. წესია ასეთი, კაპიტანს ფეხბურთელები ვირჩევთ. არა მგონია, მალდინის ფეხბურთიდან წასვლის შემდეგ ეს ვინმემ იუაროს. რინო პიროვნული თვისებებითაც გამორჩეულია, სულით მებრძოლია, არასდროს ნებდება, რასაც ყოველ თამაშში ავლენს. ცხადია, გამიხარდება, თუ „მილანის" ახალი კაპიტანი გატუზო იქნება, იგი ხომ ჩემი ერთ-ერთი საუკეთესო მეგობარია" — გვითხრა კალაძემ, როცა იტალიაში დავუკავშირდით.

**გიორგი გუგაძიძე**



# მე და ჩემი ნაბადი
## ფრანჩესკო ტოტის ბევრი რამე უნდა

**იტალიის** ნაკრებისა და „რომას" ვარსკვლავი, ფრანჩესკო ტოტი ამბობს, რომ მომავალ სეზონში ბევრ სხვადასხვა ჯილდოსთან ერთად „ფრანს ფუტბოლის" ოქროს ბურთის მოგებასაც ფიქრობს.

„ვიმედოვნებ, რომ ტრავმებს გადავურჩები, — თქვა ტოტიმ — გასულმა სეზონმა დამტანჯა, ახლა კი იქნებ უფრო გამიღიმოს ბედმა".

რასაკვირველია ტოტი მომავალ სეზონშიც „რომას" ლიდერი და მთავარი შემოქმედი იქნება.

„სკუდეტოს მოგება თუ შეგვიძლია? იცით, რას გეტყვით? ამ ზაფხულზე ჩვენ ფანტასტიკური ფეხბურთელი, კრისტიან კივუ ვიყიდეთ. თუ სხვა მაღალი დონის ფეხბურთელებიც შემოგვიერთდებიან, კიდევ უფრო გავძლიერდებით. მაგრამ ისედაც საკმაოდ ძლიერები ვართ".

რაც შეეხება „ოქროს ბურთს", რომელიც ზემოთ ვახსენეთ.

„დიახ, მართალია, რომ ამ ჯილდოზე ბევრს ვფიქრობ, თუმცა დღეს მთლად კარგად არ ვიცი, როგორ უნდა ვიბრძოლო მის მოსაპოვებლად".

თუმცა არის კიდევ ერთი მიზანი და ეს მიზანი ევროპის 2004 წლის ჩემპიონობაა.

„ბრწყინვალე ნაკრები გვყავს და ვიმედოვნებ, ასე თამაშის უნარს შემდგომ ზაფხულამდეც შევინარჩუნებთ" — ამბობს ტოტი.

**პაპუნა ძიდია**

# ქვირფასი სტამი აუქციონზე 14 მილიონი ერთი...

**26 დღეც** და ევროპაში სატრანსფერო სეზონი ოფიციალურად დაიხურება. მიდი-მოდის, რია-რიას და გუნდების საახალსეზონო დაკომპლექტებას 31 აგვისტოს დაესმება წერტილი.

იტალიური კლუბები გაცხოველებულ სატრანსფერო გაწამაწიაში არიან ჩაბმულნი. ხან ვინ უნდათ, ხანაც — ვინ. ვარდისფერი გაზეთის, „გაძეტა დელო სპორტის" ინტერნეტგვერდის სატრანსფერო ფანჯარა თითქმის ყოველ ნახევარ საათში იცვლება.

ცხადია, უფრო ბობოლა გუნდები აქტიურობენ, თუმც გამოცდილ და სახელიან ფეხბურთელებზე უარს არც სხვები ამბობენ, სერია A-ში დაბრუნებულნი კი საგრძნობლადაც გაძლიერდნენ.

იაპ სტამი, რომის „ლაციოს" ახმახი ჰოლანდიელი ცენტრალური მცველი რომ სამი ვეშაპის — „იუვენტუსის", „მილანისა" და „ინტერის" სამიზნეა, რა ხანია, ცნობილია. როგორი ხერხებით არ ცდილობენ „ლაციოს" სპორტულ დირექტორ ლუკა ბარალდის მოთაფლვას, აგერ, დიდი მაყუთი, ზედ კიდევ ერთი ან ორი ფეხბურთელიო, მაგრამ ბარალდი შეუვალია. ჩათვალეთ, თუ სტამი გავყიდეთ, „ლაციოდან" ულაპარაკოდ მივდივარო, აღუთქვა „ბიანკოჩელესტეს" ტიფოზებს დირექტორმა.

წუხელ კი ცინცხალი ინფორმაცია გავრცელდა. „იუვენტუსი", „მილანი" და „ინტერი" , როგორც ჩანს, საბოლოო შტურმზე გადადიან...

„იუვენტუსი" — 14 მილიონი ევრო და ორი ფეხბურთელი: მცველი მარკ იულიანო და ნახევარმცველი ენცო მარესკა.

„მილანი" — 10 მილიონი ევრო და სამი ფეხბურთელი: მცველები მარტინ ლაურსენი და როკე ჟუნიორი, პლუს ნახევარმცველი კრისტიან ბროკი.

„ინტერი" — 12 მილიონი ევრო და თვით ფაბიო კანავარო, „სკუადრა აძურას" კაპიტანი.

დახეთ, რა ხდება: ექტორ რაულ კუპერს კანავარო არ სჭირდება და მზადაა, შეელიოს.

ლუკა ბარალდი კი კვლავაც შეუვალია, იაპ სტამი არ იყიდება!

**გიორგი გუგაძიძე**





# მე რომაში მოვკვდე, დამიმარხო

**„რომას"** ვარსკვლავმა, ემერსონმა უარყო ხმები, რომ „ჩელსიში" მის მრავალმილიონიან კონტრაქტს ალარაფერი უკლია. ამბობდნენ, რომ „სტემფორდ ბრიჯზე" ემერსონის სანაცვლოდ 21 მილიონი გირვანქის გადახდას ფიქრობდნენ, მაგრამ ბრაზილიელს ლონდონში გადასვლა თურმე არაფრად ეპიტნავებოდა.

„ამ სიტუაციაზე საუბარი არ მახარებს — ამბობს 27 წლის ემერსონი, რომელიც „რომასთან" ერთად მექსიკაში ვარჯიშობს — ასეთი ისტორიები და ჭორები არ მაინტერესებს, რადგან „რომას" ფეხბურთელი გახლავართ და მხოლოდ ამ გუნდის საქმეებზე ფიქრი მაინტერესებს".

შეგახსენებთ, რომ ერთიხანობა ემერსონი რომიდან წასვლას ფიქრობდა, რადგან გუნდმა გასულ სეზონში მერვე ადგილი დაიჭირა, მაგრამ ახლა, როგორც ჩანს, სხვა ჭკუაზეა.

„ჩვენ დიდებული გუნდი გვყავს, მაგრამ წინა სეზონში მენტალიტეტმა გვიღალატა. სწორი მიდგომა 2001 წელს გვქონდა, როდესაც სკუდეტო მოვიგეთ, გასულ სეზონში კი.. ახლა იმავე შეცდომის დაშვება არ შეიძლება" — ამბობს ემერსონი.

იტალიაში გავრცელებულ ცნობათა თანახმად, „რომა" ემერსონთან კონტრაქტის განახლებას 2008 წლამდე აპირებს და ხელფასს სეზონში 3,4 მილიონ ევრომდე გაუზრდის.

**პაპუნა ძიდია**

# დაადეთ სამ ქულას ფასი



ხავიერ ძანეტი

„ინტერმა“ „კიევოსგან“ სიმონე პეროტას გადაბირება ერთხელაც უნდა სცადოს, თუმცა გამოვა რამე თუ არა, არავინ იცის. მოგეხსენებათ, პეროტას „შავ-ლურჯთა“ გუნდში გადასვლაზე ამ ზაფხულს ბევრს ლაპარაკობდნენ, მაგრამ ხელჩასაჭიდი არაფერი მომხდარა. შესაძლოა, ყველაფერი ლუიჯი დი ბიაჯოს ამბავზეც იყოს დამოკიდებული — „ინტერის“ მწვრთნელს, ექტორ რაულ კუპერს დი ბიაჯო აღარ მოსწონს და გუნდში მის დატოვებას არ აპირებს, მაგრამ ფეხბურთელის თავიდან მოშორებაც არ გამოვიდა მაინცადამაინც ადვილი საქმე. ერთი სიტყვით, პეროტა, რომელიც იტალიის ნაკრებში „ინტერის“ კრისტიანო ძანეტისთან ერთად თამაშს უკვე გაეჩვია, „შავ-ლურჯთა“ ბანაკში სასურველი ადამიანია, თუმცა ჯერ აჯობებს ის ვთქვათ, დი ბიაჯოს ფრონტზე რა ხდება და დანარჩენი ამბები მერე იყოს.

დი ბიაჯოს ინგლისურ „მიდლსბროში“ უჩარხავდნენ საქმეს, მაგრამ ნახევარმცველს უარი უთქვამს — უცხოეთში არაფერი მესაქმება, იტალიაში „ბრეშა“ და „პერუჯა“ ცდილობენ ჩემს შეძენასო. იმავდროულად დი ბიაჯო საკუთრივ „ინტერთანაც“ ცდილობს საერთო ენის გამონახვას. ალბათ, ყველაფერს მილანში დარჩენა ურჩევნია, თუმცა თუ დარჩენა-არდარჩენა საკონტრაქტო კი არა, ტაქტიკის საკითხია და რაგინდ მოილაპარაკონ, კუპერი მას მოედანზე მაინც არ გაიყვანს, მაშინ ფეხბურთელის მოწადინება მაინცდამაინც გასაგები არ გამოდის.

ისე კი, საინტერესოა, რომ დი ბიაჯოს ყიდვა გერმანულ კლუბებს, დორტმუნდის „ბორუსიას“ და „კაიზერსლაუტერნსაც“ მონდომებიათ, მაგრამ უცხოეთში არ მინდაო და...

ამრიგად, პეროტაო, აუჩემებია „ინტერს“, რომელზეც ამბობენ, არგენტინელებს ხუან რამონ რიკელმესა და კილი გონსალესსაც უსინჯავს ნიადაგსო. მოგეხსენებათ, პირველი „ბარსელონას“ ფეხბურთელი იყო, რომელიც გუნდში რონალდინიოს მისვლის შემდეგ იძულებულია, იქაურობა დატოვოს, მეორე კი „ვალენსიაში“ გამოდის.

თავდასხმაში კი ობაფემი მარტინსი ისე ათამაშდა, რომ ერთი ამბავი ატყდა, ის დროა, ნიკოლა ვენტოლა წავიდესო. მოგეხსენებათ, ოდესღაც „ბარიში“ ნათამაშევი ვარსკვლავი ბოლო ორი სეზონის განმავლობაში ტრავმებს ებრძოდა და გუნდს ხელი მაინცადამაინც ვერ დაატყო. საბოლოოდ გამოვიდა, რომ „ინტერში“ ვენტოლა კრესპოს, ვიერის, რეკობას, კალონისა და ობაფემი მარტენსის შემდეგ მეექვსე ფორვარდად ითვლება, რაც არც მისთვის უნდა იყოს კარგი და არც გუნდისთვის.

და ბოლოს იმას დავძენთ, რომ „ინტერმა“ სეზონისწინა ამხანაგური შეხვედრა გამართა „აიაქსთან“ და 0:3 წააგო. ამ საკითხს მილანელთა არგენტინელი ვეტერანი, ხავიერ ძანეტი გამოეხმაურა:

„ახლა „აიაქსი“ ფიზიკურად უკეთ არის მომზადებული, რადგან არდადეგებიდან უფრო ადრე დაბრუნდა. ასე რომ, ფიზიკურ მომზადებაში განსხვავება თამაშს, განსაკუთრებით მის მეორე ტაიმს დაეტყო. პირველ ნახევარს კიდევ არა უშავდა“.

შემდეგ შემტევმა ნახევარმცველმა დასძინა, რომ სანერვიულო არაფერია, რადგან სეზონის დაწყებისთვის გუნდი აუცილებლად იქნება მზად.

„ჩემპიონატის დაწყებამდე ჯერ კიდევ ერთი თვეა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ თუ გვინდა, ჩინებულად მომზადებას მოვასწრებთ, სწორედ ისე, პირველ ტურებს რომ სჭირდება. ერთი სიტყვით, დამარცხება არავის უყვარს, მაგრამ მოსამზადებელი ეტაპი მოსამზადებელი ეტაპია და როდესაც სამ ქულას ფასი დაედება, ნამდვილ „ინტერს“ მაშინ ნახავთ“.



სიმონე პეროტა

ძანეტის ჰკითხეს ახალგაზრდა თანაგუნდელის, ზემოხსენებული ობაფემი მარტინსის შესახებაც.

„ის ოვაციას იმსახურებს. ამ სეზონში მას ძირითად შემადგენლობაში ხშირად იხილავთ“.

**პაპუნა ძედია**

# ერთი კაპიკი იუვესთვის
## დავიდსი: რაღაც ხდება

„იუვენტუსმა“ „მილანს“ იტალიის სუპერთასზე, ამერიკაში, პენალტებით მოუგო? მოუგო! იმ შეხვედრაში ჰოლანდიელმა ნახევარმცველმა ედგარ დავიდსმა ითამაშა? არ უთამაშია! ჰოდა, სწორედ ამიტომ გაჩნდა დიდი ეჭვი, რომ დავიდსის მომავალი მთლად გარკვეული და უშფოთველი არ არის.

ახლა ვნახოთ, რას ამბობენ ტურინელებთან დაახლოებული წყაროები: ისინი ამბობენ, რომ დავიდსსა და კლუბს შორის ურთიერთობის პრობლემებია, თუმცა თავად კლუბი აცხადებს, რომ ფეხბურთელი კარგ ფორმაში ვერ არის და ჯერჯერობით ამიტომ ცდილობს თამაშისგან თავის შეკავებას.

„დავიდსი დიდი ფეხბურთელია და მისი დასჯა აქ არაფერ შუაშია“ — განაცხადა „ბებერი ქალბატონის“ გენერალურმა დირექტორმა ლუჩანო მოჯიმ.

მოგეხსენებათ, „იუვენტუსმა“ რამდენიმე კვირის წინ უარი შეუთვალა ლონდონის „ჩელსის“ დავიდსის 8 მილიონ გირვანქად მიყიდვაზე, თუმცა ამბობენ, რომ ინგლისელები უახლოეს ხანს კიდევ გაიმეორებენ წინადადებას. მდგომარეობას ის ამძლევს თავისებურ ელფერს, რომ დავიდსს „იუვენტუსთან“ ერთი წელიწადიღა აკავშირებს ანუ გაისად ამ დროს ის თავისუფალი აგენტი შეიქნება და ტურინიდან დაუბრკოლებლივ წავა ისე, რომ „იუვე“ ერთ კაპიკს ვერ მიიღებს. შესაბამისად, ტურინელებს ურჩევნიათ, დავიდსი დღესვე გაჰყიდონ, ოღონდ, სიტუაციას ხელი თავად დავიდსმაც უნდა შეუწყოს — იგი ენითაუწერელ ხელფასს სთხოვს „ჩელსის“ ახალ თავკაცს, რუს ოლიგარქს რომან აბრამოვიჩს.

**პაპუნა ძედია**



### ექტორ რაულ კუპერმა

დიდი ხნის ოცნება აისრულა და... როგორც იქნა, პორტუგალიელი განაპირა ჰავბეკი სერჟიუ კონსეისაუ მოიშორა.

დიახ, მოიშორა და არა კეთილი სურვილებით დაშორდა. წესით, 28 წლის კონსეისაუ კიდევ ორი წლით უნდა დარჩენილიყო „ინტერში“, მაგრამ კუპერის მოთხოვნით, მენავთობე მასიმო მორატიმ, რომელიც, იცით, „ნეროაძურის“ მფლობელია, პორტუგალიელს ხელშეკრულება დაურღვია და ტრანსფერზე დააყენა.

მერე გავრცელდა ცნობა, სერჟიუ კონსეისაუს შეძენით უეფას თასის მფლობელი „პორტუ“ და „სან სიროს“ მეორე ბინადარი, „ინტერის“ მოძულე და მოსისხლე „მილანი“ არიან დაინტერესებულნიო.

„პორტუს“ კონსეისაუ კი სურდა, მაგრამ საჭირო თანხა ვერ გამონახა, „მილანში“ კი ნახევარმცველები ისედაც ბევრია. ასეც რომ არ იყოს, ვერსად წააწყდებოდით თუნდაც ადრიანო გალიანის კომენტარს კონსეისაუს თაობაზე.

# გახსოვდეს სამშობლო!
## კონსეისაუმ და სპორტინგმა ერთმანეთს მიხედეს

ჰოდა, ადგა პორტუგალიელიც და თავად იზრუნა კლუბზე, სამშობლოში ჩავიდა და ლისაბონის „სპორტინგს“ მიაკითხა, ხომ არ გინდივართო. ერთი-ორჯერ ივარჯიშა, რაც შეეძლო, ანახა და დაიტოვეს.



ჯერ ვერ გეტყვით, რა თანხა გადაუხადეს ლისაბონელებმა მასიმო მორატის, ის კი ფაქტია, ფეხბურთელი ტრანსფერით აღფრთოვანებულია. „მიხარია, რომ „სპორტინგში“ ჩავირიცხე. ჩემთვის უმთავრესი ახლა სათამაშო პრაქტიკაა, მსურს, ევროპის ჩემპიონატზე ვითამაშო და პორტუგალიის ნაკრებში დაკარგული ადგილი დავიბრუნო“ — უთხრა კონსეისაუმ ლისაბონურ მედიას.

**გიორგი გაზაძიძე**

### შვედეთი

**ალსვენსკა. XVI ტური**

**გიოტებორგი 1:0 იოსტერი**
**ლანდსკრონა 1:0 მალმიო**
**იორებრო 0:2 ჰალმსტადი**
**აიკ 1:3 ჰამარბი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იურგორდენი | 16 | 11 | 1 | 4 | 36:12 | 34 |
| ჰამარბი | 16 | 9 | 4 | 3 | 24:16 | 31 |
| ჰალმსტადი | 16 | 9 | 2 | 5 | 28:18 | 29 |
| მალმიო | 16 | 7 | 5 | 4 | 26:16 | 26 |
| იორგრიტე | 16 | 8 | 2 | 6 | 26:25 | 26 |
| აიკ | 16 | 7 | 3 | 6 | 24:21 | 24 |
| ჰელსინგბორგი | 16 | 7 | 3 | 6 | 16:23 | 24 |
| გიოტებორგი | 16 | 6 | 4 | 6 | 21:15 | 22 |
| იორებრო | 16 | 6 | 4 | 6 | 19:23 | 22 |
| ლანდსკრონა | 16 | 5 | 6 | 5 | 16:18 | 21 |
| ელფსბორგი | 16 | 4 | 5 | 7 | 16:24 | 17 |
| სუნდსვალი | 16 | 2 | 7 | 7 | 15:22 | 13 |
| ენკოპინგი | 16 | 2 | 4 | 10 | 15:32 | 10 |
| იოსტერი | 16 | 2 | 4 | 10 | 12:29 | 10 |


**სამკურნალო გაერთიანება**
**„ლიგა“**

დახმარება მსოფლიო სტანდარტების დონეზე

სექსოპათოლოგიის კლინიკა

- ერექციის ხარისხის გაუმჯობესება;
- სქესობრივი აქტის გახანგრძლივება;
- წარუმატებლობის მოლოდინის შიშის მოხსნა;
- სექსუალური ცხოვრების აღდგენა შემდეგი დაავადებების ფონზე:
  პროსტატიტი, შაქრიანი დიაბეტი, ტრავმები, ინვალიდობა, გულ-სისხლძარღვთა და ნევროლოგიური დაავადებები.

**ანონიმურობა დაცულია** ტელ: 32 21 21

ვაქცინაციის ცენტრი

- ფართო სპექტრის მომსახურება „ავენტის-პასტერის“ ვაქცინებით (საფრანგეთი-ლიონი)
  წინასწარი ჩაწერა ტელეფონით: 32-44-78

სამკურნალო-დიაგნოსტიკური გაერთიანება „ლიგა“
თბილისი 380086, ვაჟა-ფშაველას გამზ. 83/11, ტელ: 32 21 21; 32 21 15

# წინდებიდან სიგარეტი ამოიღე, ეფენდი!





სამი თურქული ვეშაპის სამი მომთვინიერებელი: მირჩა ლუჩესკუ, ფათიჰ თერიმი და კრისტოფ დაუმი

## სტამბოლი ტკბილი ქალაქია. წასვლა არავის უნდა

**მომავალ** უქმეებზე თურქეთის ჩემპიონატი დაიწყება. შაბათამდე სამი დღე დარჩა, მაგრამ ოსმალოთა მთავარი ლიგის ბობოლა გუნდებზე თითო ულუფა ამბავს მაინც მოგაწვდით.

წინა სეზონის ჩემპიონმა „ბეშიქთაშმა“ ასწლოვანი იუბილე იზეიმა, უეფას თასის მეოთხედფინალამდეც მიაღწია, მაგრამ იქ უკვე „ლაციოს“ ველარ სძლია. „ბეშიქთაშის“ რუმინელმა მწვრთნელმა მირჩა ლუჩესკუმ შარშან საკმაოდ ბრძოლისუნარიანი გუნდი შექმნა, რომელიც ისევე თამაშობდა, როგორც „გალათასარაი“ შარშანწინ. მაშინ „გალას“ სწორედ ეს რუმინელი თავკაცობდა და ჩემპიონები გახდნენ.

ლუჩესკუმ „ბეშიქთაშში“ ვერ შეძლო ის, რაც ფათიჰ თერიმმა 2000 წელს „გალათასარაიში“. თერიმმა „წითელ-ყვითლები“ უეფას თასის ფინალში გაიყვანა და სტამბოლში თასით ხელდამშვენებულები დააბრუნა.

ამჟამინდელ ჩემპიონთა ბოსების მიზანი სწორედ ევროთასებზე წარმატება იყო. შინაურ ჩემპიონატში გამარჯვება სტამბოლური სამეულისთვის („გალათასარაი“, „ფენერბაჰჩე“, „ბეშიქთაში“) მნიშვნელოვანი კია, მაგრამ ერთგვარად მოსაწყენიც გახდა, რადგან სამეულსა და დანარჩენებს შორის განსხვავება ბოსფორის სრუტეზე დიდია. ამიტომ ევროპაში იატაგნით შეჭრა ბოლო წლების მთავარი მიზანია. ეს „გალათასარაიმ“ შეძლო. „წითელ-ყვითლებმა“ ჩემპიონთა ლიგაში ერთხელ სტამბოლში მადრიდის „რეალს“ 0:2 3:2-ად უქციეს და ამ მოგებითაც დაიქუხეს. „გალა“ მომავალ სეზონში მშობლიურ „ჯოჯოხეთში“ აღარ ითამაშებს. ასე უწოდებენ ჩაიყლაპია გულშემატკივრები გუნდის სტადიონს „ალი სამი იენის“. მას სარეკონსტრუქციო სამუშაოები ელის და ამიტომ „ლომები“ სტამბოლის ოლიმპიურ სტადიონზე გადაინაცვლებენ.

„გალათასარაის“ ევროპულმა ტრიუმფმა დანარჩენ ორ მოქიშპეს, „ფენერბაჰჩესა“ და „ბეშიქთაშის“ პატრონებს ძილი დაუფრთხო. ისინი ამ მხრივ ფათიჰ თერიმის გუნდს ვერ შეედრებიან, უძილობა კი შემადგენლობის გასაძლიერებლად ფულის ხარჯვას იწვევს. მართალია, „ბეშიქთაშს“ დიდძალი თანხები შარშან არ დაუხარჯავს, მაგრამ მათი ჩემპიონობა ძირითადად მეტოქეების დასუსტების ბრალია. იტალიიდან დაბრუნებულ ფათიჰ თერიმს „გალათასარაის“ კვლავ ასაწყობად თითქმის მთელი სეზონი დასჭირდა და როცაააწყო, „შავი არწივი“ უკვე ჩემპიონი იყო.

წინა სეზონის მსგავსი აბურდული ჩემპიონატი თურქეთში არასოდეს ყოფილა. „გალა“ „ბეშიქთაშს“ რვა ქულით ჩამორჩა, „ფენერბაჰჩე“ კი 34-ით (!). ოსმალეთს არ ახსოვს, რომ სამ სტამბოლურ ვეშაპს შორის ქულათა სხვაობა ოდესმე ამდენი ყოფილიყოს. „ფენერბაჰჩეს“ თვით „მალათიამაც“ გადაასწრო. ეს უსახელო გუნდი მთლიანად იმდენი ღირს, რამდენიც „ფენერის“ ნაგიჟარმა ბოსებმა ერთი წლის წინ არიელ ორტეგას შესაძენად გადაიხადეს.

საკვირველია, მაგრამ „ფენერბაჰჩე“ ქვეყანაში ყველაზე პოპულარულია. „ლურჯ-ყვითლებს“ 60-მილიონიან თურქეთში „გალათასარაიზე“ და „ბეშიქთაშზე“ გაცილებით მეტი ქომაგი ჰყავთ. ბოლო წლებში „ფენერის“ არაერთგზის შერცხვენის მიუხედავად, როგორც შინ, ასევე ევროპაში, მას თაყვანისმცემლები არ მოჰკლებია. გახსოვთ, ალბათ, რამდენიმე წლის წინ ჩემპიონთა ლიგაში რიხით შევარდნილმა „ლურჯ-ყვითლებმა“ ჯგუფში ექვსივე შეხვედრა რომ წააგეს. ახლა ისე მისავათდნენ, რომ მალათიელებმაც კი აჯობეს.

1993 წლის შემოდგომაზე, როცა თურქები სიგარეტის კოლოფს „ნასკებში“ ინახავდნენ, ხოლო ბურთი ლობიომოყრილი ბრინჯი ეგონათ, „ფენერბაჰჩემ“ უეფას თასზე ფრანგულ „კანთან“ სტუმრად 0:4, შინ კი 0:5 წააგო. დღეს თურქული გუნდები ევროპაში პრეტენზიებით მიდიან, რადგან მათი ბიუჯეტი მოსახლეობასავით მრავლდება. „ფენერბაჰჩეში“ თვით პიერ ვან ჰოიდონკი თამაშობს. რატომ? იმიტომ, რომ გაცილებით მეტს უხდიან, ვიდრე „ფეიენოორდში“ იღებდა.

„გალათასარაიმ“ ფრანკ დე ბური მოისურვა და კიდეც მიიღო, ისევ და ისევ ფულით. თან ჰოლანდიელი მცველის ოჯახს საცხოვრებლად თუ სასწავლებლად ყველა პირობა შეუქმნა.

აშკარაა, რომ სტამბოლური სამეული დასავლეთისკენ ჯილდოებისთვის მიილტვის და იქ დამკვიდრება სწადია. მწვრთნელები ნახეთ: მირჩა ლუჩესკუ, ფათიჰ თერიმი და კრისტოფ დაუმი, რომელიც სამი წლის წინ „ბეშიქთაშს“ წვრთნიდა, ახლა კი „ფენერბაჰჩეს“ თავკაცობს. „ფენერის“ პრეზიდენტი „ბეშიქთაშს“ დასცინოდა, კოკაინის მყნოსავ კაცს ფეხბურთელებს როგორ ვანდობო, ახლახან კი თვითონ ეხვეწებოდა დაუმს, ჩემთან იმუშავეო. თვალები ილდირიმსაც აქვს და ცხრილში კარგად ნახა, „ბეშიქთაშმა“ და „გალათასარაიმ“ ზემოდან როგორ გადმოჰხედეს წინა სეზონში.

რაც შეეხება „ტრაბზონს“, ჩვენი ტყუპების ყოფილი გუნდი ევროპისგან შორსაა და სტამბოლელ ვეშაპებთან კონკურენციას ვეღარ უძლებს. აღმოსავლეთ და დასავლეთ შავიზღვისპირეთს შორის სხვაობა თითქმის ყოველწლიურად იზრდება. „შავი ზღვის ქარიშხლად“ მონათლული „ტრაბზონსფორი“ ადრე თუ სანაქებოდ აწიოკებდა სტამბოლელებს, ახლა უკვე უჭირს.

ამასობაში დედაქალაქური გუნდებიც წამოიჩიტნენ. ანკარის „გენჩლერბირლიგმა“ ისეთი სეზონი ჩაატარა, რომ ერთი ხანობა ჩემპიონობაც კი ესიზმრებოდა. „გენჩლერბირლიგი“ (ქართულად „ახალგაზრდების ერთობა“) ყოველთვის საშუალოზე დაბალი გუნდი იყო, მაგრამ ანკარის მერიას სტამბოლელთა მრავალწლიანი ზეობა არ სიამოვნებდა. ამიტომაც „გენჩლერს“ უკვე მესამე წელია, სამ ვეშაპზე არანაკლები ბიუჯეტი აქვს და შედეგიც ინებეთ, მესამე ადგილი და უეფას თასის საგზური.

სამომავლო გეგმებზე თუ ვიმსჯელებთ, ბოლო წლებში დაჩაგრული „ფენერბაჰჩე“ ჩემპიონობისთვის გააფთრებით იბრძოლებს, მით უმეტეს, ევროთასებისგან თავისუფალია და მოქიშპეების გასაბდღვნელად მოიცლის. „ფეხბურთი ჩვენი შესრულებით შოუ არ იქნება, სანახაობას ნუ ელით!“ მისვლის დღიდანვე გერმანული სიმტკიცით თქვა კრისტოფ დაუმმა. აზიზ ილდირიმმა მას მხოლოდ ერთი რამ სთხოვა, „ბეშიქთაშის“ და „გალათასარაის“ დამხობა. თუ დაუმი ამას მოახერხებს, ჯამაგირის გარდა პრემიის სახით ილდირიმი დიდძალ გასამრჯელოს ჰპირდება. გერმანელი მწვრთნელი მაღალი დონის სპეციალისტია. „ბეშიქთაშისგან“ მოძულებულმა თავისი შესაძლებლობა ავსტრიაში დაამტკიცა, სადაც „აუსტრია“ ჩემპიონი გახადა.

„ბეშიქთაში“ ალბათ ჩემპიონთა ლიგაში ღირსეულად გამოსვლას შეეცდება, თურქეთში ზედიზედ მეორედ პირველობა კი გაუჭირდება, რადგან შემადგენლობა ვერ გააძლიერა.

„გალათასარაი“ ყოველთვის „გალაა“ და „წითელ-ყვითლებისგან“ ჩემპიონთა ლიგაში მოხვედრას და კვლავ წარმატებებს ელიან.

მოკლედ ასეა, „ფენერბაჰჩეს“ მწვრთნელია კრისტოფ დაუმი, რომელიც ადრე „ბეშიქთაშს“ წვრთნიდა. „ბეშიქთაშს“ მირჩა ლუჩესკუ თავკაცობს, რომელმაც „გალათასარაი“ ჩემპიონობას აზიარა, „გალათასარაის“ კი იტალიამოვლილი „იმპერატორი“ ფათიჰ თერიმი მეთაურობს. როგორც ხედავთ, სტამბოლი ტკბილი ქალაქია. ერთი და იგივე ხალხი ტრიალებს და წასვლა არავის უნდა, ვინც წავიდა, ყველა დაბრუნდა.

**რომან თურქია**



თურქული საკლუბო ფეხბურთის ოცნება: ნეტავ, ისევ დადგებოდეს 2000. „გალათასარაი“ უეფას თასით

# სარბიელი და კროკო

## წარმოგიდგენთ

**კროკოს თბილისურ ბიუროებში შეგიძლიათ მიბრძანდეთ ნებისმიერი ვალუტით**

### ინგლისი. I დივიზიონი

I ტური

9 აგვისტო

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 16.30 | 001 | პრესტონი-ვესტ ჰემი | 2,8 | 3,2 | 2,35 | 1,49 | 1,27 | 1,35 |
| 19.00 | 002 | ბრედფორდი-ნორვიჩი | 2,4 | 3,2 | 2,7 | 1,37 | 1,27 | 1,46 |
| 19.00 | 003 | ბარნლი-კრისტალ პალასი | 2,3 | 3,3 | 2,8 | 1,35 | 1,26 | 1,51 |
| 19.00 | 004 | დერბი-სტოკი | 1,8 | 3,3 | 4,0 | 1,16 | 1,24 | 1,8 |
| 19.00 | 005 | იფსვიჩი-რედინგი | 1,85 | 3,2 | 4,0 | 1,17 | 1,26 | 1,77 |
| 19.00 | 006 | მილუოლი-უიგანი | 1,9 | 3,3 | 3,6 | 1,2 | 1,24 | 1,72 |
| 19.00 | 007 | როტერჰემი-კარდიფი | 2,35 | 3,3 | 2,7 | 1,37 | 1,25 | 1,48 |
| 19.00 | 008 | შეფილდი-ჯილინგემი | 1,6 | 3,4 | 5,6 | 1,08 | 1,24 | 2,11 |
| 19.00 | 009 | უოლსოლი-ვესტ ბრომვიჩი | 2,7 | 3,3 | 2,35 | 1,48 | 1,25 | 1,37 |
| 19.00 | 010 | უოტფორდი-ქოვენთრი | 2,1 | 3,2 | 3,3 | 1,26 | 1,28 | 1,62 |
| 19.00 | 011 | უიმბლდონი-ქრიუ | 1,8 | 3,4 | 3,8 | 1,17 | 1,22 | 1,79 |
| 21.35 | 012 | ნოტინგემი-სანდერლენდი | 2,15 | 3,2 | 3,2 | 1,28 | 1,28 | 1,6 |

### ინგლისი. II დივიზიონი

I ტური

9 აგვისტო

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 013 | ბარნსლი-კოლჩესტერი | 2,0 | 3,2 | 3,5 | 1,23 | 1,27 | 1,67 |
| 19.00 | 014 | ბრისტოლი-ნოტსი | 1,55 | 3,6 | 5,6 | 1,08 | 1,21 | 2,19 |
| 19.00 | 015 | ლუტონი-რაშდენი | 2,0 | 3,3 | 3,4 | 1,24 | 1,25 | 1,67 |
| 19.00 | 016 | ოლდემი-ბრაიტონი | 2,35 | 3,3 | 2,7 | 1,37 | 1,25 | 1,48 |
| 19.00 | 017 | პიტერბრო-პარტლპული | 1,9 | 3,3 | 3,6 | 1.2 | 1,24 | 1,72 |
| 19.00 | 018 | პლიმუთი-გრიმსბი | 2,05 | 3,3 | 3,3 | 1,26 | 1,26 | 1,65 |
| 19.00 | 019 | პორტ ვეილი-ბორნმუთი | 2,0 | 3,3 | 3,4 | 1,24 | 1,25 | 1,67 |
| 19.00 | 020 | ქუინზ პარკი-ბლეკპული | 1,6 | 3,5 | 5,3 | 1,09 | 1,22 | 2,1 |
| 19.00 | 021 | სუინდონი-უენსდი | 2,5 | 3,3 | 2,45 | 1,42 | 1,23 | 1,4 |
| 19.00 | 022 | ტრანმერი-ბრენტფორდი | 1,7 | 3,4 | 4,6 | 1,13 | 1,24 | 1,95 |
| 19.00 | 023 | რექსემი-ჩესტერფილდი | 1,8 | 3,3 | 4,0 | 1,16 | 1,24 | 1,8 |
| 19.00 | 024 | უიკომბი-სტოკპორტი | 2,25 | 3,2 | 3,0 | 1,32 | 1,28 | 1,54 |

### ინგლისი. III დივიზიონი

I ტური

9 აგვისტო

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 025 | კარლაილი-იორკი | 2,3 | 3,3 | 2,8 | 1,35 | 1,26 | 1,51 |
| 19.00 | 026 | ჰადერსფილდი-კემბრიჯი | 1,7 | 3,4 | 4,6 | 1,13 | 1,24 | 1,95 |
| 19.00 | 027 | ჰალი-დარლინგტონი | 1,7 | 3,3 | 4,8 | 1,12 | 1,25 | 1,95 |
| 19.00 | 028 | კიდერმინსტერი-მენსფილდი | 2,35 | 3,2 | 2,8 | 1,35 | 1,27 | 1,49 |
| 19.00 | 029 | ლეიტონი-დონკასტერი | 1,8 | 3,3 | 4,0 | 1,16 | 1,24 | 1,8 |
| 19.00 | 030 | ლინკოლნი-ოქსფორდი | 2,3 | 3,2 | 2,9 | 1,33 | 1,28 | 1,52 |
| 19.00 | 031 | მაკლსფილდი-ბოსტონი | 2,0 | 3,2 | 3,5 | 1,23 | 1,27 | 1,67 |
| 19.00 | 032 | ნორთჰემპტონი-ტორკი | 1,7 | 3,4 | 4,6 | 1,13 | 1,24 | 1,95 |
| 19.00 | 033 | როჩდეილი-იოვილი | 2,4 | 3,2 | 2,7 | 1,37 | 1,27 | 1,46 |
| 19.00 | 034 | სკანთორპი-როვერსი | 1,8 | 3,3 | 4,0 | 1,16 | 1,24 | 1,8 |
| 19.00 | 035 | საუთენდი-ჩელტენემი | 2,35 | 3,3 | 2,7 | 1,37 | 1,25 | 1,48 |
| 19.00 | 036 | სუონსი-ბერი | 2,4 | 3,3 | 2,6 | 1,38 | 1,24 | 1,45 |

### შოტლანდია. პრემიერლიგა

I ტური

9 აგვისტო

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 16.30 | 050 | დანფერმლაინი-სელტიკი | 9,0 | 4,6 | 1,3 | 3,04 | 1,13 | 1,01 |
| 16.30 | 051 | რეინჯერსი-კილმარნოკი | 1,15 | 6,0 | 14,0 | 1 | 1,06 | 4,19 |
| | 052 | რეინჯერსი-კილმარნოკი 0:1 | 1,4 | 3,8 | 4,2 | | | |
| 19.00 | 053 | დანდი იუნაიტედი-ჰიბერნიანი | 2,5 | 3,2 | 2,5 | 1,4 | 1,25 | 1,4 |
| 19.00 | 054 | ჰართსი-აბერდინი | 1,8 | 3,3 | 4,0 | 1,16 | 1,24 | 1,8 |
| 19.00 | 055 | მოზერუელი-დანდი | 2,5 | 3,2 | 2,5 | 1,4 | 1,25 | 1,4 |
| 19.00 | 056 | პარტიკი-ლივინგსტონი | 2,3 | 3,2 | 2,9 | 1,33 | 1,28 | 1,52 |

### გერმანია. ბუნდესლიგა

II ტური

9 აგვისტო

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18.30 | 075 | ჰანოვერი-ბაიერნი | 4,0 | 3,3 | 1,8 | 1,8 | 1,24 | 1,16 |
| 18.30 | 076 | ფრაიბურგი-ჰანზა | 2,0 | 3,3 | 3,4 | 1,24 | 1,25 | 1,67 |
| 18.30 | 077 | ვერდერი-მიონხენგლადბახი | 1,6 | 3,5 | 5,3 | 1,09 | 1,22 | 2,1 |
| 18.30 | 078 | კიოლნი-კაიზერსლაუტერნი | 2,3 | 3,3 | 2,8 | 1,35 | 1,26 | 1,51 |
| 18.30 | 079 | მიუნხენი-შალკე | 2,35 | 3,3 | 2,7 | 1,37 | 1,25 | 1,48 |
| 18.30 | 080 | დორტმუნდი-ვოლფსბურგი | 1,5 | 3,8 | 6,0 | 1,07 | 1,2 | 2,32 |
| 18.30 | 081 | ბოხუმი-ჰამბურგი | 2,45 | 3,2 | 2,6 | 1,38 | 1,26 | 1,43 |

**შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **10 აგვისტო** | | | | | | |
| 20.30 | 082 | შტუტგარტი-ჰერტა | 1,9 | 3,3 | 3,6 | 1,2 | 1,24 | 1,72 |
| 20.30 | 083 | ფრანკფურტი-ლევერკუზენი | 2,7 | 3,2 | 2,4 | 1,46 | 1,27 | 1,37 |
| | | საფრანგეთი. I დივიზიონი | | | | | | |
| | | II ტური | | | | | | |
| | | **8 აგვისტო** | | | | | | |
| 23.45 | 114 | მარსელი-ოსერი | 1,7 | 3,2 | 5,0 | 1,11 | 1,26 | 1,95 |
| | | **9 აგვისტო** | | | | | | |
| 20.15 | 115 | ლილი-პსჟ | 2,5 | 2,9 | 2,8 | 1,34 | 1,32 | 1,42 |
| 23.00 | 116 | ლიონი-მონაკო | 1,95 | 3,1 | 3,8 | 1,19 | 1,28 | 1,7 |
| 23.00 | 117 | ბასტია-მეცი | 1,65 | 3,3 | 5,3 | 1,1 | 1,25 | 2,03 |
| 23.00 | 118 | ბორდო-მონპელიე | 1,5 | 3,5 | 7,0 | 1,04 | 1,23 | 2,33 |
| 23.00 | 119 | ლე მანი-აიაჩო | 2,0 | 3,1 | 3,6 | 1,21 | 1,28 | 1,66 |
| 23.00 | 120 | ნანტი-ლანსი | 2,0 | 3,1 | 3,6 | 1,21 | 1,28 | 1,66 |
| 23.00 | 121 | ნიცა-სოშო | 2,0 | 3,1 | 3,6 | 1,21 | 1,28 | 1,66 |
| 23.00 | 122 | რენი-ტულუზა | 1,65 | 3,1 | 4,2 | 1,15 | 1,28 | 1,78 |
| 23.00 | 123 | სტრასბურგი-გინგამი | 2,1 | 3,0 | 3,5 | 1,23 | 1,31 | 1,61 |
| | | ბელგია. I დივიზიონი | | | | | | |
| | | I ტური | | | | | | |
| | | **8 აგვისტო** | | | | | | |
| 23.30 | 135 | ბრიუგე-გენკი | 1,4 | 4,0 | 7,5 | 1,03 | 1,17 | 2,6 |
| | 136 | ბრიუგე-გენკი 0:1 | 1,95 | 3,2 | 2,6 | | | |
| | | **9 აგვისტო** | | | | | | |
| 23.00 | 137 | შარლერუა-ლოკერენი | 2,7 | 3,3 | 2,35 | 1,48 | 1,25 | 1,37 |
| 23.00 | 138 | ბეერსხოტი-მონსი | 1,8 | 3,5 | 3,6 | 1,18 | 1,19 | 1,77 |
| 23.00 | 139 | ლიერსი-სტ.ტრუიდენი | 1,75 | 3,4 | 4,2 | 1,15 | 1,23 | 1,87 |
| 23.00 | 140 | ანდერლეხტი-ანტვერპენი | 1,25 | 5,0 | 10,0 | 1 | 1,11 | 3,33 |
| | 141 | ანდერლეხტი-ანტვერპენი 0:1 | 1,65 | 3,3 | 3,3 | | | |
| 23.00 | 142 | ვესტერლო-ლიერსე | 1,8 | 3,5 | 3,6 | 1,18 | 1,19 | 1,77 |
| | | **10 აგვისტო** | | | | | | |
| 18.00 | 143 | კეუსდენა-სერკლი | 2,1 | 3,5 | 3,0 | 1,31 | 1,23 | 1,61 |
| 18.00 | 144 | ბევერენი-გენტი | 2,3 | 3,5 | 2,6 | 1,38 | 1,22 | 1,49 |
| 23.00 | 145 | მუსკრონი-სტანდარდი | 2,5 | 3,4 | 2,4 | 1,44 | 1,22 | 1,4 |
| | | ავსტრია. ბუნდესლიგა | | | | | | |
| | | IV ტური | | | | | | |
| | | **6 აგვისტო** | | | | | | |
| 22.30 | 146 | აუსტრია-მატერსბურგი | 1,35 | 4,2 | 8,0 | 1,02 | 1,15 | 2,75 |
| | 147 | აუსტრია-მატერსბურგი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,7 | | | |
| 22.30 | 148 | კერნტენი-ბრეგენცი | 1,75 | 3,3 | 4,4 | 1,14 | 1,25 | 1,88 |
| | | **7 აგვისტო** | | | | | | |
| 21.00 | 149 | შტურმი-რაპიდი | 2,3 | 3,2 | 2,9 | 1,33 | 1,28 | 1,52 |
| | | შვეიცარია. სუპერლიგა | | | | | | |
| | | V ტური | | | | | | |
| | | **8 აგვისტო** | | | | | | |
| 22.30 | 157 | გრასჰოპერი-სერვეტი | 1,65 | 3,4 | 5,0 | 1,11 | 1,24 | 2,02 |
| 22.30 | 158 | ქსამაქსი-ციურიხი | 1,8 | 3,3 | 4,0 | 1,16 | 1,24 | 1,8 |
| | | **9 აგვისტო** | | | | | | |
| 22.30 | 159 | სტ.გალენი-თუნი | 1,9 | 3,3 | 3,6 | 1,2 | 1,24 | 1,72 |
| 22.30 | 160 | იანგ ბოიზი-ვილი | 1,5 | 3,6 | 6,5 | 1,05 | 1,21 | 2,31 |
| 22.30 | 161 | ბაზელი-აარაუ | 1,3 | 4,6 | 9,0 | 1,01 | 1,13 | 3,04 |
| | 163 | ბაზელი-აარაუ 0:1 | 1,75 | 3,2 | 3,0 | | | |
| | | **დანია. სუპერლიგა. III ტური** | | | | | | |
| | | **9 აგვისტო** | | | | | | |
| 20.00 | 172 | ესბიერგი-კოპენჰაგენი | 2,8 | 3,3 | 2,3 | 1,51 | 1,26 | 1,35 |
| | | **10 აგვისტო** | | | | | | |
| 18.00 | 173 | ოლბორგი-ფრემი | 1,45 | 4,0 | 6,5 | 1,06 | 1,18 | 2,47 |
| | 174 | ოლბორგი-ფრემი 0:1 | 2,05 | 3,2 | 2,45 | | | |
| 18.00 | 175 | ნორდსიელანდი-ოდენსე | 2,5 | 3,2 | 2,5 | 1,4 | 1,25 | 1,4 |
| 18.00 | 176 | ჰერფიოლგე-ვიბორგი | 2,4 | 3,3 | 2,6 | 1,38 | 1,24 | 1,45 |
| 18.00 | 177 | მიდტიულანდი-აკადემიკი | 1,6 | 3,5 | 5,3 | 1,09 | 1,22 | 2,1 |
| 20.35 | 178 | ბრიონდბიუ-ორჰუსი | 1,4 | 4,0 | 7,5 | 1,03 | 1,17 | 2,6 |
| | 179 | ბრიონდბიუ-ორჰუსი 0:1 | 1,95 | 3,2 | 2,6 | | | |
| | | **შვედეთი. სუპერეტა** | | | | | | |
| | | **XVIII ტური** | | | | | | |
| | | **9 აგვისტო** | | | | | | |
| 19.00 | 196 | ბრომაპოიკარნა-ბოდენსი | 1,65 | 3,6 | 4,6 | 1,13 | 1,21 | 2,01 |
| 19.00 | 197 | ფორვარდი-გეფლე | 2,5 | 3,4 | 2,4 | 1,44 | 1,22 | 1,4 |
| 19.00 | 198 | ფრიოლუნდა-ფალკენბერგი | 1,5 | 4,0 | 5,6 | 1,09 | 1,18 | 2,33 |
| | | **10 აგვისტო** | | | | | | |
| 21.00 | 199 | ოპერა-ატვიდაბერგი | 1,75 | 3,5 | 4,0 | 1,16 | 1,21 | 1,86 |
| 21.00 | 200 | იფკ მალმიო-ჰეკენი | 3,2 | 3,5 | 2,0 | 1,67 | 1,23 | 1,27 |
| 21.00 | 201 | ნორჩიოპინგი-ვესტეროსი | 1,85 | 3,4 | 3,6 | 1,19 | 1,22 | 1,74 |
| 21.00 | 202 | კალმარი-სილვია | 1,3 | 4,8 | 8,0 | 1,02 | 1,11 | 3 |
| | 203 | კალმარი-სილვია 0:1 | 1,75 | 3,2 | 3,0 | | | |
| 21.00 | 204 | ტრელებორგი-ასირისკა | 1,55 | 3,6 | 5,6 | 1,08 | 1,21 | 2,19 |
| | | **ფინეთი. ვეიკაუსლიგა. გადადებული მატჩი** | | | | | | |
| | | **7 აგვისტო** | | | | | | |
| 20.30 | 224 | ჰაკა-ჯაზი | 1,2 | 5,3 | 12,5 | 1 | 1,09 | 3,72 |
| | 225 | ჰაკა-ჯაზი 0:1 | 1,5 | 3,6 | 3,6 | | | |
| | | **თურქეთი. სუპერლიგა** | | | | | | |
| | | **I ტური** | | | | | | |
| | | **8 აგვისტო** | | | | | | |
| 22.00 | 239 | სამსუნი-ბეშიქთაში | 4,6 | 3,6 | 1,65 | 2,01 | 1,21 | 1,13 |
| | | **9 აგვისტო** | | | | | | |
| 21.00 | 240 | კონია-ტრაბზონი | 3,2 | 3,3 | 2,1 | 1,62 | 1,26 | 1,28 |
| 21.00 | 241 | გენჩლერი-ელაზიგი | 1,3 | 4,6 | 9,0 | 1,01 | 1,13 | 3,04 |
| | 242 | გენჩლერი-ელაზიგი 0:1 | 1,75 | 3,2 | 3,0 | | | |
| 21.00 | 243 | გალათასარაი-დიარბაქირი | 1,2 | 5,3 | 12,5 | 1 | 1,09 | 3,72 |
| | 244 | გალათასარაი-დიარბაქირი 0:1 | 1,5 | 3,6 | 3,6 | | | |
| 21.00 | 245 | ბურსა-გაზიანთეფი | 2,4 | 3,3 | 2,6 | 1,38 | 1,24 | 1,45 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **10 აგვისტო** | | | | | | |
| 19.00 | 246 | სებათი-დენიზლი | 2,35 | 3,3 | 2,7 | 1,37 | 1,25 | 1,48 |
| 19.00 | 247 | ადანა-მალათია | 2,15 | 3,3 | 3,1 | 1,3 | 1,26 | 1,59 |
| 19.00 | 248 | რიზე-ანკარაგიუჯიუ | 2,2 | 3,3 | 3,0 | 1,32 | 1,26 | 1,57 |
| 19.00 | 249 | ფენერბაჰჩე-ისთანბული | 1,35 | 4,2 | 8,0 | 1,02 | 1,15 | 2,75 |
| | 250 | ფენერბაჰჩე-ისთანბული 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,7 | | | |
| | | **სლოვაკეთი. I ლიგა** | | | | | | |
| | | **IV ტური** | | | | | | |
| | | **9 აგვისტო** | | | | | | |
| 20.00 | 275 | პუხოვი-ტრენჩინი | 1,7 | 3,4 | 4,6 | 1,13 | 1,24 | 1,95 |
| 20.00 | 276 | დუბნიცა-ტრნავა | 2,0 | 3,2 | 3,5 | 1,23 | 1,27 | 1,67 |
| 20.00 | 277 | ბ.ბისტრიცა-პეტრჟალკა | 2,6 | 3,1 | 2,5 | 1,41 | 1,27 | 1,38 |
| 21.00 | 278 | სლოვანი-რუჟომბეროკი | 1,65 | 3,5 | 4,8 | 1,12 | 1,22 | 2,02 |
| 23.00 | 279 | ჟილინა-ინტერი | 1,55 | 3,6 | 5,6 | 1,08 | 1,21 | 2,19 |
| | | **ბრაზილია** | | | | | | |
| | | **სერია A** | | | | | | |
| | | **XXIV ტური** | | | | | | |
| | | **6 აგვისტო** | | | | | | |
| 03.30 | 323 | ვიტორია-პაისანდუ | 1,85 | 3,3 | 3,8 | 1,18 | 1,24 | 1,76 |
| 03.30 | 324 | ატლეტიკო პრ-პარანა | 2,3 | 3,3 | 2,8 | 1,35 | 1,26 | 1,51 |
| 03.30 | 325 | კრიკიუმა-სან კაეტანო | 1,75 | 3,3 | 4,4 | 1,14 | 1,25 | 1,88 |
| 03.30 | 326 | ფორტალეზა-ფლუმინენსე | 1,8 | 3,3 | 4,0 | 1,16 | 1,24 | 1,8 |
| 03.30 | 327 | ჟუვენტუდი-პონტე პრეტა | 2,15 | 3,2 | 3,2 | 1,28 | 1,28 | 1,6 |
| 04.40 | 328 | კრუზეირო-სან პაულუ | 1,9 | 3,3 | 3,6 | 1,2 | 1,24 | 1,72 |
| 04.40 | 329 | გოიასი-ვასკუ და გამა | 2,1 | 3,2 | 3,3 | 1,26 | 1,28 | 1,62 |
| 04.40 | 330 | სანტოსი-ატლეტიკო მნ | 1,7 | 3,4 | 4,6 | 1,13 | 1,24 | 1,95 |
| | | **7 აგვისტო** | | | | | | |
| 22.30 | 331 | ინტერნასიონალი-კურიტიბა | 1,8 | 3,3 | 4,0 | 1,16 | 1,24 | 1,8 |
| 03.30 | 332 | ფლამენგო-ბაია | 1,55 | 3,6 | 5,6 | 1,08 | 1,21 | 2,19 |
| 03.30 | 333 | კორინთიანსი-ფიგეირენსე | 1,55 | 3,6 | 5,6 | 1,08 | 1,21 | 2,19 |
| 03.30 | 334 | გუარანი-გრემიო | 1,6 | 3,6 | 5,0 | 1,1 | 1,21 | 2,09 |
| | | **მექსიკა. აპერტურა. I ტური** | | | | | | |
| | | **6 აგვისტო** | | | | | | |
| 06.00 | 386 | ჩივასი-სანტოსი | 1,85 | 3,3 | 3,8 | 1,18 | 1,24 | 1,76 |
| | | **ინგლისი** | | | | | | |
| | | **სუპერთასი (კარდიფში)** | | | | | | |
| | | **10 აგვისტო** | | | | | | |
| 18.00 | 404 | არსენალი-მანჩესტერი | 2,35 | 3,3 | 2,7 | 1,37 | 1,25 | 1,48 |
| | | **პორტუგალია** | | | | | | |
| | | **სუპერთასი (გიმარაეშში)** | | | | | | |
| | | **10 აგვისტო** | | | | | | |
| 24.00 | 405 | პორტუ-ლეირია | 1,35 | 4,2 | 8,0 | 1,02 | 1,15 | 2,75 |
| | | **ჰოლანდია** | | | | | | |
| | | **სუპერთასი (ამსტერდამში)** | | | | | | |
| | | **10 აგვისტო** | | | | | | |
| 21.00 | 406 | პსვ-უტრეხტი | 1,45 | 4,0 | 6,5 | 1,06 | 1,18 | 2,47 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **შვედეთი. თასი. 1/4 ფინალი** | | | | | | |
| | | **7 აგვისტო** | | | | | | |
| 22.00 | 407 | ჰალმსტადი-იორგრიტე | 2,0 | 3,3 | 3,4 | 1,24 | 1,25 | 1,67 |
| 22.00 | 408 | ასირისკა-გიოტებორგი | 5,6 | 4,0 | 1,5 | 2,33 | 1,18 | 1,09 |
| 22.00 | 409 | ვესბი-ელფსბორგი | 5,6 | 4,0 | 1,5 | 2,33 | 1,18 | 1,09 |
| | | **ნორვეგია. თასი. 1/8 ფინალი** | | | | | | |
| | | **6 აგვისტო** | | | | | | |
| 21.00 | 410 | რაუფოსი-მანდალი | 1,95 | 3,6 | 3,2 | 1,26 | 1,21 | 1,69 |
| 21.00 | 411 | სკეიდი-სოგნდალი | 4,4 | 3,8 | 1,65 | 2,03 | 1,2 | 1,15 |
| 21.00 | 412 | ლილესტრიომი-ვოლერენგა | 1,95 | 3,4 | 3,4 | 1,23 | 1,23 | 1,7 |
| 21.00 | 413 | იორნი-ბოდიო გლიმტი | 5,6 | 4,0 | 1,5 | 2,33 | 1,18 | 1,09 |
| 21.00 | 414 | ვიკინგი-ჰაუგესუნდი | 1,3 | 4,6 | 9,0 | 1,01 | 1,13 | 3,04 |
| | | **7 აგვისტო** | | | | | | |
| 21.00 | 415 | სტაბეკი-ალესუნდი | 1,5 | 4,0 | 5,6 | 1,09 | 1,18 | 2,33 |
| 22.05 | 416 | ტრომსიო-ბრანი | 2,35 | 3,4 | 2,6 | 1,38 | 1,23 | 1,47 |
| | | **ფინეთი. თასი. 1/8 ფინალი** | | | | | | |
| | | **6 აგვისტო** | | | | | | |
| 20.30 | 417 | ტამპერე-როვანიემი | 1,25 | 5,0 | 10,0 | 1 | 1,11 | 3,33 |
| 20.30 | 418 | ტპ 47-ალიანსი | 3,5 | 3,4 | 1,9 | 1,72 | 1,23 | 1,21 |
| | | **ჩემპიონთა თასი. II ეტაპი. II მატჩები** | | | | | | |
| | | **6 აგვისტო** | | | | | | |
| 19.30 | 423 | მაკაბი(თ-ა)-ჟილინა | 1,95 | 3,3 | 3,5 | 1,22 | 1,25 | 1,69 |
| 21.00 | 424 | შახტარი-შერიფი | 1,2 | 5,3 | 12,5 | 1 | 1,09 | 3,72 |
| 21.00 | 425 | ჰიკ-მტკ | 2,1 | 3,2 | 3,3 | 1,26 | 1,28 | 1,62 |
| 21.00 | 426 | ვარდარი-ცსკა(მ) | 4,6 | 3,6 | 1,65 | 2,01 | 1,21 | 1,13 |
| 22.00 | 427 | რუსენბორგი-ბოჰემიანსი | 1,2 | 5,3 | 12,5 | 1 | 1,09 | 3,72 |
| 22.00 | 428 | სლავია-ლეოტარი | 1,15 | 6,0 | 14,0 | 1 | 1,06 | 4,19 |
| 22.00 | 429 | ომონია-ვისლა | 2,5 | 3,2 | 2,5 | 1,4 | 1,25 | 1,4 |
| 22.30 | 430 | ცსკა(ს)-პიუნიკი | 1,25 | 5,0 | 10,0 | 1 | 1,11 | 3,33 |
| 23.30 | 431 | გრაცერი-ტირანა | 1,25 | 5,0 | 10,0 | 1 | 1,11 | 3,33 |
| 23.30 | 432 | ანდერლეხტი-რაპიდი(ბ) | 1,4 | 4,0 | 7,5 | 1,03 | 1,17 | 2,6 |
| 23.45 | 433 | სლიმა-კოპენჰაგენი | 6,0 | 3,8 | 1,5 | 2,32 | 1,2 | 1,07 |
| 23.45 | 434 | იურგორდენი-პარტიზანი | 2,0 | 3,2 | 3,5 | 1,23 | 1,27 | 1,67 |
| 23.45 | 435 | დინამო(ზ)-მარიბორი | 1,5 | 3,6 | 6,5 | 1,05 | 1,21 | 2,31 |
| 23.45 | 436 | სელტიკი-კაუნასი | 1,08 | 8,0 | 17,0 | 1 | 1,01 | 5,44 |
| | | **ინტერტოტოს თასი. 1/2 ფინალი** | | | | | | |
| | | **II მატჩები** | | | | | | |
| | | **6 აგვისტო** | | | | | | |
| 21.00 | 437 | კოპერი-ჰერენვენი | 2,5 | 3,2 | 2,5 | 1,4 | 1,25 | 1,4 |
| 21.30 | 438 | ვოლფსბურგი-ციბალია | 1,25 | 5,0 | 10,0 | 1 | 1,11 | 3,33 |
| 23.15 | 439 | ვერდერი-პაშინგი | 1,3 | 4,6 | 9,0 | 1,01 | 1,13 | 3,04 |
| 23.15 | 440 | ლიბერეცი-შალკე | 2,45 | 3,2 | 2,6 | 1,38 | 1,26 | 1,43 |
| 23.30 | 441 | პერუჯა-ნანტი | 1,8 | 3,3 | 4,0 | 1,16 | 1,24 | 1,8 |
| 00.45 | 442 | ვილიარეალი-ბრნო | 1,35 | 4,2 | 8,0 | 1,02 | 1,15 | 2,75 |
| | | **ამხანაგური მატჩები** | | | | | | |
| | | **6 აგვისტო** | | | | | | |
| 24.00 | 447 | ბოლტონი-მალიორკა | 2,3 | 3,3 | 2,8 | 1,35 | 1,26 | 1,51 |
| 01.15 | 448 | სპორტინგი-მანჩესტერი | 3,2 | 3,3 | 2,1 | 1,62 | 1,26 | 1,28 |






ლუვრის მიდამოები ტურ დე ფრანსის დროს






# პარიზული ზაფხული



სოკ-ის პრეზიდენტი ჟაკ როგი და ევროპის ეოკ-თა პრეზიდენტი მარიო პესკანტე ფესტივალის საზეიმო გახსნაზე უგუნებოდ იყვნენ

უცხოელთათვის პარიზი მუდმივი დღესასწაულის ქალაქია. ალბათ თავად ამ ზეიმებს მიჩვეული პარიზელებისთვისაც ასეთია საფრანგეთის დედაქალაქი. ამიტომაც უთქვამს მუზების მსახურს პარიზზე — დღესასწაული, რომელიც მუდამ შენთან არისო.

აქ ერთმანეთს ენაცვლება სხვადასხვა საერთაშორისო გამოფენები, კარნავალები, კონცერტები, პრეზენტაციები, სპორტული პაექრობები... აი, ახლაც, ამ დღეებში აქ, ორგზის ოლიმპიურ დედაქალაქში გასრულდა ტურ დე ფრანსის მრავალდღიანი ველორბოლა და იმავე საღამოს გაიხსნა ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიური ფესტივალი, თვის ბოლოს კი მძლეოსანთა მსოფლიოს ჩემპიონატიც დაიწყება. ამ მსოფლიოს ჩემპიონატისა რა მოგახსენოთ და, ველორბოლის ფინიშსა და ევროპის ახალგაზრდობის ფესტივალს კი დავესწარით. შეჯიბრის ბოლო ეტაპის ფინიშის სანახავად პარიზის ქუჩებში დილიდანვე ცოცხალი კედლები ჩარიგებულიყო და იქ ერთი კაცის ჩასადგომს ვინ ჩივის, ნემსის ჩასაგდებ ადგილსაც ვერ მოძებნიდით, ციდან კი შვეულმფრენთა გუგუნი ისმოდა.

მთელი დღის განმავლობაში ამ ცოცხალ კედლებში მხოლოდ მოდიოდა და მიდიოდა ტურ დე ფრანსის სპონსორთა რეკლამებით აჭრელებული თანამედროვე დიდ-პატარა თუ არქაული ავტომობილები... პარიზელები თუ მისი სტუმრები, ეს მილეთის ხალხი დიდი მოთმინებით ელოდა ველოქარავანის გამოჩენას.

მჯერა, რომ ამ მომლოდინე ხალხს იმედები გაუცრუვდა, რაკიღა ველომრბოლელებმა ქარივით ისე ჩაუქროლეს, რომ გულშემატკივრებმა თუ უბრალოდ ცნობისმოყვარეებმა თვალის დახამხამებაც ვერ მოასწრეს. ამას ალბათ შინ ჯდომა და ტელევიზორიდან თვალის დევნება სჯობდა, მით უმეტეს, რომ ტელეკამერები მთელს მარშრუტზე დაემონტაჟებინათ და ყოველივეს მრბოლელთა ქარავანს აკიდებული ავტომობილებიდან და ციდანაც იღებდნენ.

და მაინც, ხალხმა, ეტყობა ამ ველორბოლის დასკვნითი ეტაპის „ცოცხლად" ნახვა ისურვა, რაც ალბათ იმანაც განაპირობა, რომ ტურ დე ფრანსს წეულს საიუბილეო თარიღი საუკუნოვანი დაუმრგვალდა.

ამ აჟიოტაჟმა ერთი სკანდალური ამბავიც დაბადა. საქმე ის იყო, რომ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი ჟაკ როგი და მისი ამალა სწორედ იმ დღეს ჩამობრძანდა ოლიმპიურ ფესტივალზე დასასწრებლად, მაგრამ სტადიონთან მისასვლელი ქუჩები გადაკეტილი დახვდათ. და ეს მაშინ, როცა ტრადიციულად სოკ-ის პრეზიდენტს სამთავრობო დონეზე ხვდებიან, კორტეჟით მოაცილებენ და მას გზას უთავისუფლებენ.

ასე იყო თუ ისე, სოკ-ის პრეზიდენტის დაგვიანების გამო ფესტივალის საზეიმო გახსნამ გადაიწია. მერე იყო და, როცა მობრძანდა, სტადიონზე შუქი არ დახვდა. ერთ მომენტში პრეზიდენტმა და მისმა ამალამ ტრიბუნებიც კი დატოვა. თუმცა, როცა დაბრუნდა, ცერემონიალი მაინც ბინდ-ბუნდში დაიწყო.

რაც შეეხება თავად ახალგაზრდობის ოლიმპიური ფესტივალის გახსნას რომელიც შარლეტის კოხტა სარაგბო სტადიონზე გაიმართა, ტრიბუნებზე ერთ მხარეს სკამებზე მხოლოდ მის მონაწილეთა დროშები იყო გადაფენილი, მეორე მხარეს კი აღლუმის მერე თავად მოაღლუმენი მოკალათდნენ და მათთან ერთად საერთაშორისო, ევროპისა და ეროვნული ოლიმპიური კომიტეტების დიდმოხელენი. ვინ იცის, პარიზელები და მისი სტუმრები იქნებ ამ ფესტივალის საზეიმო გახსნაზეც მოზღვავებულიყვნენ, მაგრამ მათთვის არც ბილეთები იყიდებოდა და არც უბილეთოდ შეიძლებოდა შესვლა. არადა, სანახაობა მეტად მიმზიდველი გამოდგა, სადაც ტრადიციული საადლუმო ცერემონიალი სექსუალურად გამოწყობილმა მოკანკანე პარიზელი ქალების ცეცხლოვანმა როკვამ, სკეიტბორდისტთა თავბრუდამხვევმა ქროლვამ, კალათბურთელთა, ფეხბურთელთა და ველოსიპედისტთა აკრობატულმა გამოსვლებმა თუ ჯადოქრობებმა შეცვალა. მათი გამოსვლები კალეიდოსკოპური სისწრაფითა და მომხიბვლელობით ენაცვლებოდა ერთმანეთს, ეს ყოველივე კი გრანდიოზული, მართლაც თვალისმომჭრელი ფოიერვერკით გასრულდა.

ასე იყო ამ ფესტივალის დახურვაზეც.

არადა, შეიძლებოდა ეს ყველაფერი სულ სხვაგვარად წარმართულიყო და ზეიმი არც გამოსულიყო, რადგან მასპინძლები წინადღით და იმ დილითაც მოქუფრულ ცას ნერვიულად შესცქეროდნენ, ჩვენ კი, საზაფხულოდ გამოწყობილნი აქაური პაპანაქება სიცხის მერე, რომელმაც ორიოდ კვირით ადრე ლამის მთელი საფრანგეთის ლიანდაგები დალუნა, სიცივით, ცოტა არ იყოს, კბილებს ვაკაწკაწებდით.

ამინდზე გამახსენდა, აქაურებს წვიმა ჩვენსავით არ აშინებთ. პარიზში გამომგზავრების წინაღამით თბილისს რომ ერთი წამოწვიმების მერე თავს სტიქიური უბედურება დაატყდა და მთელი ქალაქი წყალმა წაიღო, მსგავსი რამ აქ ჟუჟუნა წვიმად აღიქმება და ქუჩებს არც არაფერი ეტყობათ.

არც ეიფელის კოშკს ეტყობოდა რამდენიმე დღის წინათ ნახანძრალი და უნებურად ჩვენი ჟანგიანი ფუნიკულიორის ანძაზე უკვე „უხსოვარ დროს" გაჩენილი ცეცხლის ამბავი გვახსენდება, რომლის კვალიც დღემდე ვერ წაგვიშლია.

**ავთანდილ გურასაშვილი**

**პარიზი-თბილისი**

**ავტორის ფოტოები**

***გაგრძელება იქნება***



პარიზელი მოკანკანე ქალები ფესტივალის საზეიმო გახსნაზე

# წყალი!

## გალაქტიონ ლაითაძე: კიდევ ერთი ლტოლვილი წყალბურთელი



*ქართულ სპორტულ სამყაროში დღეს სულ უფრო ხშირად გაიგონებთ, საათენო მატარებელმა უკვე ჩაიარა, მაგრამ პეკინის ოლიმპიური თამაშებისთვის თუ აქედანვე დავიწყებთ ზრუნვას, გუნდურ სათამაშო სახეობებიდან იქ მოხვედრის ყველაზე მეტი შანსი ჩვენს წყალბურთელებს გაუჩნდებათო. ასეთ შემთხვევაში საქართველოს ნაკრებში უეჭველად იქნება გალაქტიონ ლაითაძე, რომელიც ახლა იტალიის მეორე დივიზიონის გუნდ „ნეტანო კატანიაში" თამაშობს, მანამდე კი იგი მრავალი ქვეყნის კლუბთა სახელს, საქართველოს სხვადასხვა ასაკის ახალგაზრდა წყალბურთელთა ნაკრების ღირსებას იცავდა, არაერთი საკავშირო ტურნირი მოიგო და საუკეთესო მცველადაც აღიარეს. საკავშირო ნაკრებშიც იწვევდნენ, მერე კი, ქვეყანა რომ აირია, ფინეთს მიაშურა*

— **მაშინ,** 1996 წელს ფინეთში 1977 წელს დაბადებულ წყალბურთელთა საერთაშორისო ტურნირზე საქართველოს გუნდიც გამოდიოდა — იხსენებს გალაქტიონ ლაითაძე — მათ მასპინძლებზე კარგი შთაბეჭდილება დატოვეს. თანაც, ეტყობა, ფინელებს ქართველ წყალბურთელთა მიღწევებზეც სმენოდათ რაღაც. ამიტომ ჩვენი გუნდის მწვრთნელებს სთხოვეს, იქნებ იუვასკვილეს გუნდში სათამაშოდ ცოტა უფროს წყალბურთელებს გაუწიოთ რეკომენდაციაო. აი, ასე მოვხვდით იუვასკვილეს „საუოტში" მე და ნოდარ ჩოლარია. მანამდე მუდამ მცველად ვთამაშობდი, იქ კი ცენტრალურ თავდამსხმელად გამამწესეს. სეზონის ბოლოს ფინეთის საუკეთესო მოთამაშედ მაღიარეს, მე და ნოდარი კი გუნდთან ერთად ჩემპიონები გავხდით. მერე, 1999-2000 წლების სეზონი სტამბოლის „ადალარში" გავატარე, ფინეთის ჩემპიონობას თურქული ბრინჯაოც დავამატე. ამას მოჰყვა ბრაუნშვაიგის „აინტრახტში" გამოსვლა. იქ გუნდის ბომბარდირი კი გავხდი, მაგრამ ჩვენი „აინტრახტი" ბოლო ადგილზე გავიდა და დაიშალა. გერმანიიდან მოსკოვის „დინამოში" გადავბარგდი, სადაც სულ ორიოდე თვე ვითამაშე, ბოლოს კი იტალიის „ნეტენო კატანიაში" აღმოვჩნდი. მაშინ ჩვენი გუნდი მესამედან მეორე ლიგაში ალზევდა და მეშვიდე ადგილი დაიკავა. წლიურ ბომბარდირთა დავაში მეხუთე ვიყავი. ყველა ბურთი თამაშიდან გავიტანე, პენალტი კი საერთოდ არ მიტყორცნია მაშინ, როცა სხვა ბომბარდირებმა მარაგი ასეც საკმაოდ შეივსეს.

— **კი მაგრამ, თქვენ მოგზაური ხართ თუ წყალბურთელი?**

— ქვეყნებისა და გუნდების გამოცვლა კარგი ცხოვრებით არ ყოფილა განპირობებული. საქართველოში რომ გუნდი გვყავდეს და 500-600 დოლარის ექვივალენტური შემოსავალი მქონდეს, აქედან ფეხსაც არ მოვიცვლიდი. 1993 წელს საქართველოს ნაკრების წევრებმა კაიროში ახალგაზრდულ მსოფლიოს პირველობაზე ვითამაშეთ. მაშინ ასაკით გუნდის სხვა წევრებზე პატარა ვიყავი, მაგრამ ნაკრებში მაინც მოვხვდი. მანამდე მხოლოდ ერთი შეკრება გაეიარეთ, იქიდან მსოფლიოს პირველობაზე გამგზავრებამდე ერთი კვირით ადრე თბილისში ჩამოსულებს წყალი არ დაგვხვდა. ამიტომაც კაიროში გუნდებს პირველ სამ პერიოდს თანაბრად რომ ვეთამაშებოდით, მეოთხეში უკვე ქანცგაწყვეტილნი ვიყავით. ასე იყო ესპანეთთანაც, რომელიც მერე ვერცხლის მედალოსანი გახდა. ისინი მესამე პერიოდის მერე მხოლოდ 5:4 გვიგებდნენ, მეოთხეში კი კიდევ თხუთმეტი გაგვიტანეს, რასაც მხოლოდ ერთით ვუპასუხეთ. იტალიელებმა სწორედ მაშინ აღმოაჩინეს ახლა რუსეთის ნაკრების წევრი და მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი წყალბურთელი ვალერი ჩომახიძე, რომელიც კაიროში ბომბარდირი გახდა. იგი „რეკოს" პრეზიდენტმა ჯანი ლონციმ თავის გუნდში მიიწვია და ჩომახიძეს გზაც გაეხსნა.

1994-96 წლებში საქართველოში წყალბურთი პრაქტიკულად მთლად ჩაკვდა. 1994 წელს თურქეთში ერთადერთ ტურნირზე ვითამაშეთ. 95 წელსაც ასე იყო, როცა ირანის ტურნირით „დავკმაყოფილდით". თბილისში წყალი რომ არ გვქონდა, ირანში გამგზავრებამდე... ფეხბურთს ვთამაშობდით, მე კი წყალბურთი მენატრებოდა და უცხოეთსაც ამიტომ მივაშურე, იქ კი ჩემი უბედობისა და გარემოებათა გამო ვიცვლიდი გუნდებს. მაგალითად, ფინეთში ანაზღაურება არანაირად არ მაკმაყოფილებდა და როცა სამედიცინო დაზღვევაზე უარი მითხრეს, გუნდი მივატოვე, თუმცა, ეგეცაა, „საუკოტი" და სხვა ფინური გუნდები ფინანსურად წელგამართულნი სულაც არ არიან. მერე 1999 წელს იტალიის ერთ-ერთ უძლიერეს გუნდში „რეკოში" მიმიწვიეს. თითქოს ამ გუნდში ჩემს ჩარიცხვას წინ აღარაფერი ედგა, მაგრამ მისი პრეზიდენტი ჯანი ლონცი, ვინც ჩომახიძეს დიდ წყალბურთში მწვანე შუქი აუნთო და მეც იმედით მიყურებდა, გუნდიდან წავიდა, მე კი ვის რაღად ვუნდოდი?

— **საქართველოს საწყლოსნო სახეობათა ფედერაციის პრეზიდენტი ვლადიმერ გოიაშვილი თქვენზე ამბობს, ეს ბიჭი II ლიგის გუნდში სათამაშოდ მენანებაო.**

— მეც მენანება, მაგრამ თავს ზემოთ ძალა არ არის. მე რომ საქართველოს ნაკრების წევრი ვიყო, უკეთეს გუნდში მოვხვდებოდი და ანაზღაურებაც მეტი მექნებოდა. ჩვენს გუნდში ერთი ბელარუსი წყალბურთელია. თამაშებს სულ აუზის კიდიდან რომ უცქეროს — მაშინ, როცა მე ლამის შეუცვლელად ვთამაშობ — ჩემზე გაცილებით მეტს გადაუხდიან, რადგან თავისი ქვეყნის ნაკრების წევრია, მე კი საქართველოს არარსებული ნაკრების წევრი ვარ, რაც ჩემს აქციებს ძალზე აქვეითებს. მე რომ საქართველოს ნაკრებში თამაშით ზურგი მქონდეს გამაგრებული, სულ სხვა იქნებოდა. ამიტომაც ხშირად ვიცვლი გუნდებს. ეს ძნელი და მომაბეზრებელია.

— **გუნდის გამოსაცვლელად ახლაც ევროპის რუკას ხომ არ ათვალიერებთ?**

მე იტალიაში თამაში მომწონს. ახლა სიცილიაში ზღვის პირას ვცხოვრობ და ცოტა უკეთეს გუნდში რომ მიმიწვიონ, იქაურობას არ გავცვლი. ამას რომ ვამბობ, ზოგი ფიქრობს, ეს კაცი კარგად მოწყობილა და ეტყობა ანაზღაურებასაც არ უჩივისო, მაგრამ არც ასეა საქმე. ყოველ შემთხვევაში, ჩემი შემოსავლის პატრონი, კაცი უცოლოდ ვრჩები, თბილისში კი გუნდი რომ არსებობდეს და ის ნანატრი 500-600 დოლარი მქონდეს, სხვა საქმე იქნებოდა. ჩემი ძველი თანაგუნდელები და მომდევნო თაობებიც, რომლებმაც უგუნდობის გამო წყალბურთი მიატოვეს, სხვა საქმეს ეწივნენ. 2000 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი დავამთავრე და ჩემს გზას იქნებ მეც ვწეოდი, მაგრამ წყალბურთი ძალიან მიყვარს, ვერ ვეშვები და არც შევეშვები, მანამ საკუთარ შესაძლებლობებს არ ამოვწურავ.

— **ამდენი ქვეყნების გამოცვლის მერე ალბათ პოლიგლოტი გახდებით.**

— არც ასეა საქმე. ფინური ისე ძნელი მეჩვენება, რომ მისი სწავლა შეუძლებელი მგონია. გერმანულის კურსებზე კი დავდიოდი, მაგრამ არ მომწონს და გული ვერ დავუდე. ისე, საყველპუროდ კი ვლაპარაკობ. ფინურისა არ იყოს, ვერც თურქული ვისწავლე და ყველა ამ ქვეყნებში ჩემი ინგლისურით გამქონდა თავი, იტალიური კი ძალიან მომწონს, კარგადაც ვისწავლე და თავად იტალიელებიც მაქებენ, ყოჩაღო.

— **როგორ ფიქრობ, საქართველოს ნაკრები რომ ჩამოყალიბდეს, რა პერსპექტივა ექნება?**

— მგონია, რომ პეკინის ოლიმპიური თამაშების ლიცენზიას მოვიპოვებთ, ოღონდ ეს საქმე ახლავე უნდა დავიწყოთ და დრო აღარ დავკარგოთ.

— **თქვენზე რომ იყოს დამოკიდებული, ვის მიიწვევდით?**

— ალბათ რუსეთში მოთამაშე დავითიანს, მის ახალგაზრდა კოლეგა გეგელაშვილს, მანძულაშვილს, ჭუმბურიძეს, იტალიიდან ასათიანს, ახლანდელი ახალგაზრდული გუნდიდან რამდენიმეს, აქ ჩემი თაობის წყალბურთელებს გავსინჯავდი და ზოგიერთს დავაბრუნებდი...

— **ჩომახიძე?**

— **მაგრამ ის ხომ რუსეთის მოქალაქეა?**

— ამბობენ, იგი რუსეთის სახელით ათენის ოლიმპიურ თამაშებზეც გამოვა და თუ საქართველოს ნაკრები შეიქმნება, აქ თამაშის დიდი სურვილი აქვსო.

— თუ ასეა, მაშინ ისე არ უნდა გავაკეთოთ, რომ კაცი ჩამოვიყვანოთ დღეს ჩამოყალიბებული ნაკრები ხვალ ისევ დავშალოთ, მის წევრებს პირობა გავუტეხოთ და ხალხს თავბედი ვაწყევლინოთ.

— **თქვენ თავს თუ მიიწვევდით ნაკრებში?**

— რა თქმა უნდა, მით უმეტეს, რომ გამოცდილი წყალბურთელები აღარც გვყავს.

— **მაგრამ საპეკინოდ წყალბურთისთვის ასაკოვანი ხომ არ იქნებით?**

— იმ დროისთვის 33-ისა ვიქნები. ერთ დროს 30 წლის წყალბურთელი სპორტის ამ სახეობისთვის მობერებულად ითვლებოდა, ახლა კი პირიქით — ეს ასაკი გაფურჩქვნის პერიოდია. დღეს 36-37 წლის წყალბურთელებიც საკმაოდ ბევრნი თამაშობენ. ლეგენდარულმა ესპანელმა მანუელ ესტეარტემ თავისი მეშვიდე ოლიმპიური თამაშები 39 წლისამ ითამაშა.

**ავთანდილ ჭყვიშელი**



გალაქტიონ ლაითაძე სამშობლოში თამაშზე ოცნებობს




„ჰოკენჰაიმრინგის" კვარცხლბეკი: იარნო ტრული, ხუან პაბლო მონტოია და დევიდ კულჰარდი

# მონტოიამ შუმახერი იპოვა
## მიხაელმა თავი დაკარგა

*ამ კვირადღეს ჰოკენჰაიმში გათამაშებულმა გერმანიის დიდმა პრიზმა საჩემპიონო დავა კიდევ უფრო გაამძაფრა. პრობლემებმოძალებულ მიხაელ შუმახერს, ცთუნების მიუხედავად, ვერ შევადარებთ დაჭრილ არწივს, ხოლო მის მეტოქეებს ყვავ-ყორნებს. არწივი ისაა, ვინც მოიგებს, ხოლო ხუთგზის ჩემპიონი აგერ, ოთხი რბოლაა, ველარ იგებს და თუმც საერთო ჩათვლაში პირველობას ინარჩუნებს, მაგრამ რა ნერვიულობის ფასად...*

*ახლა მიხაელისთვის ყველაზე ახლო მდევარი უილიამსის შავტუხა კოლუმბიელი ხუან პაბლო მონტოიაა, რომელმაც მოიგო კიდეც ბოლო რბოლა და სეზონის დამთავრებამდე ოთხი ეტაპით ადრე ექვს ქულამდე წამოეწია ლიდერს. გერმანიის დიდი პრიზი მონტოიასი გამოდგა, ამ სიტყვის სრული გაგებით. კოლუმბიელის პირად გამარჯვებაზე რომ არაფერი ვთქვათ, ქულები დაკარგა ყველა მისმა კონკურენტმა. მიხაელ შუმახერს მეორე ადგილი გამოეცალა და საბოლოოდ ხელში ორად ორი ქულა შერჩა, ხოლო სხვა მოწინავეები — კიმი რაიკონენი, რალფ შუმახერი და რუბენს ბარიკელო პირველივე მოსახვევში საზიარო ავარიაში მოჰყვნენ და საერთოდ უქულებოდ დარჩნენ.*

*ამათ არყოფნაში მონტოიას მხარისრგვლივ პოდიუმზე ადგილები შეავსეს „მაკლარენის" დევიდ კულჰარდმა და „რენოს" იარნო ტრულიმ. მცირედი შემოკლებით, ტრადიციისამებრ გთავაზობთ პირველ სამეულთან საპრესკონფერენციო კითხვა-პასუხს*

**— ხუან, იდეალური დღე შეგხვდათ, არა?**

**მონტოია:** ჰო, ყველაფერი გადასარევად მიეწყო, შაბათს კვალიფიკაცია მოვიგე, დღეს რბოლა. თავიდანვე დავწინაურდი და სულ პირველი ვიყავი. სტარტიც კარგი გამოგვივიდა. რალფმა ჩემს გვერდით, მეორე პოზიციიდან დაიწყო და ის ავარია რომ არა, ჩვენი „უილიამსი" ვუნდურ ჩათვლაში ალბათ გადაასწრებდა „ფერარის". ავარია ზედ ჩემს ზურგსუკან მოხდა. არ ვიცი, ვინ ვის დაეჯახა, მანქანების გროვაში მხოლოდ რალფს მოვკარი თვალი. ამის გარკვევა არ მიცდია, სიჩქარე ავკრიფე და ავკრიფე. მერელა გავიგე, რომ მიხაელის გარდა არავინ „მომდევდა" და ბოლო წრეებზე მასაც პრობლემა შექმნა.

**— ახლა ჩემპიონობასთან სულ ახლოს ხართ, საცაა, მიხაელს წამოეწევით...**

— ჰო, მონაკოს დიდი პრიზის შემდეგ (ექვსი ეტაპის წინ) ბევრი შეიცვალა, ლიდერთა შორის სივრცე კიდევ უფრო შემჭიდროვდა. მაგრამ ჯერ მაინც ადრეა დასკვნების გაკეთება. წინ ოთხი რბოლაა და ყველაფერი შეიძლება მოხდეს — ვის მარცხი შეემთხვევა, ვინ ქულებს დაკარგავს. თუნდაც მიხაელი ავიღოთ. რბოლის დამთავრებამდე ხუთი წუთით ადრე ის მყარ მეორე პოზიციაზე იმყოფებოდა, მაგრამ მეშვიდედ კი დაამთავრა. კაცმა ყველაფერი უნდა იღონო და რბოლიდან მაქსიმუმი აიღო. თუ გამარჯვებას ვერ ახერხებ, ქულები მაინც არ უნდა დაკარგო.

**— თქვენ რა, სხვას ურჩევთ? თავად დღეს ნამდვილად არ შეგაწუხათ ქულების დაკარგვის საფრთხემ. სტარტისთანავე გაუჩინარდით სხვათა თვალთახედვიდან.**

— მანქანა ფანტასტიკურად იყო მომზადებული და ისლა დამრჩენოდა, წინსვლაზე მეფიქრა. ბოქსებიდან რადიოთი მეუბნებოდნენ, ბოლიდს გაუფრთხილდიო, მაგრამ მე მაინც არ დავაგდე ტემპი და პირველ წრეებში ორ-ორ და ზოგჯერ მეტ წამსაც ვუგებდი მდევრებს.

**— ხუან, ისე ჩანს, გერმანიაში ამინდმა შეგაწუხათ. კოლუმბიაში სიცხეს არ მიეჩვიეთ?**

— იცით, კოლუმბიაში და მით უფრო ბოგოტაში არც ისე ცხელი კლიმატია. ისე, შეგახსენებთ, რომ მე რამდენიმე წელია, კოლუმბიაში აღარ ვცხოვრობ.

**— შეკითხვა დევიდ კულჰარდს: დევიდ, თქვენც კმაყოფილი უნდა იყოთ რბოლით, მეათემ დაიწყეთ და მესამედ დაამთავრეთ. ერთ რბოლაში ერთობ ბევრს გაასწარით.**

**კულჰარდი:** ცხადია, მე დამეხმარნენ ის პილოტები, რომლებმაც ჩემს წინ დაიწყეს და ავარიაში მოჰყვნენ. სამწუხაროდ, მათ შორის ჩემი თანაგუნდელი კიმი რაიკონენიცაა. გარდა ამისა, პირველივე წრეზე, თუ გახსოვთ, მარკ ვებერმაც გამასწრო. მე მოგვიანებით ავუარე გვერდი მასაც და „ტოიოტებსაც". ხოლო შუა რბოლის შემდეგ ფერნანდო ალონსოსა და იარნო ტრულის გადასწრებაზე დავიწყე ფიქრი. მგონი, მიხაელმაც ისევე აუარა გვერდი ტრულს, როგორც მე. იარნო გამწარებით იცავდა შიდა ტრაექტორიას, რაც გიბიძგებს, გარედან შემოუარო. რამდენიმე ცდის შემდეგ ეს მოვახერხე.

**— როდესაც მიხაელ შუმახერს უკან ჩაუდექით, გჯეროდათ, რომ მის გადასწრებას შეძლებდით?**

— დიახ, მე უფრო სწრაფი ვიყავი. თანაც მიხაელმა რამდენჯერმე რისკიანი მანევრი შეასრულა და ერთი-ორჯერ გზიდანაც გადავიდა, რის გამოც მანქანა დაუზიანდა და იძულებული გახდა, ტემპი დაეგდო. მოგვიანებით მას საბურავებმაც უმტყუნა და ბოქსებში შევიდა.

**— იარნო, მოხარულნი ვართ, პრესკონფერენციაზე მაინც რომ გამოჩნდით. რა დაგემართათ რბოლის შემდეგ?**

**ტრული:** თავიდან ყველაფერი კარგად მიდიოდა. ავარია გადავურჩი, მოსახვევში შევასწარი და მეორე პოზიციაზეც აღმოვჩნდი, მაგრამ რბოლის მეორე ნახევარში თავბრუსხვევა დამეწყო. არ ვიცი, გრიპის ბრალია, თუ რის. რბოლის შემდეგაც არ ვგრძნობდი თავს კარგად. ერთი სიტყვით, ეს დღე ჩემთვის არ იყო მშვიდი და უპრობლემო, მაგრამ უმადური არა ვარ. საბოლოოდ მესამე ადგილზე გავედი და უკმაყოფილების უფლება არა მაქვს.

**— მიხაელიც და კულჰარდიც დარწმუნებულები იყვნენ, რომ ჩამოგიტოვებდნენ. რატომ?**

— ჩემს გარდა მანქანასაც ჰქონდა პრობლემები. სამარცხვინოა, როცა განწირული ხარ ორთაბრძოლის წასაგებად, მაგრამ რას გააწყობ, მათ უკეთესი ბოლიდები ჰყავთ.

**— მაგრამ თქვენ მაინც მაგრად გააწვალეთ მიხაელი და აიძულეთ უკიდურესი ზომებისთვის მიემართა, იგი გზიდანაც კი გადავიდა. თქვენ და თქვენი თანაგუნდელი ფერნანდო ალონსო შეგნებულად ხომ არ „უმწარებთ სიცოცხლეს" მიხაელს? შუმახერი წინა ეტაპზე ფერნანდომ აწვალა.**

— იცით, ჩვენ მხოლოდ ვიბრძვით. ეს ნორმალური რბოლა იყო და წესები არ დაგვირღვევია. უბრალოდ, არაა სასიამოვნო, როცა ვინმე გისწრებს და არა ,აქვს მნიშვნელობა, ეს შუმახერი იქნება, თუ სხვა. როდესაც მიხაელი ჩემს უკან გამოჩნდა, მივხვდი, რომ გამასწრებდა. ეს ფაქტია, მისი მანქანა სწორზე გაცილებით ადვილად ავითარებს მაღალ სიჩქარეს, ვიდრე ჩემი. მაგრამ მე მაინც ჩემსას ვცდილობდი და მიხაელი სარისკო მანევრებზე წავიდა. კი გამისწრო, მაგრამ ამის გამო საბოლოოდ მაინც დაკარგა რამდენიმე ადგილი.

**— იარნო, პოდიუმთან თქვენს ახლოს კაცი იდგა რაღაც თილისმით ხელში, თქვენს ახლობელს ჰგავდა. მოგვიყევით ამის შესახებ...**

— ჰოო, ერთხელ რამდენიმე დღით სამხრეთ იტალიაში ვიყავი. იქ ბევრი მეგობარი მყავს, რომლებსაც საოცრად სჯერათ მსგავსი რამეების და არა მარტო მათ, საერთოდ სამხრეთში... ჰოდა, იქ რომ ვიყავი, მსოფლიოში ერთ-ერთ საუკეთესო რესტორანში დამპატიჟეს ვახშამზე დონ ალფონსო ლაკარინოსთან. მან გამაცნო ხალხი, რომლებიც ჟან ალეზის მეგობრები ყოფილან და ეს თილისმა მათ მიუციათ მისთვის. ალეზი მაშინ რამდენჯერმე ზედიზედ მოხვდა პოდიუმზე. ახლა კი აგერ, თქვენც ხედავთ, მეც გავედი მესამე ადგილზე. ასე რომ, ეს თილისმა მართლა ამართლებს.

# სპა გამოჩნდა
## ბელგიის მთავრობამ ტაბუ უკან წაიღო

**განთქმულმა** ბელგიურმა საფორმულო გზაგრეხილმა „სპა-ფრანკორშამმა" გაისად, შესაძლოა, ისევ უმასპიძლოს სამეფო რბოლის ეტაპს ეს ვარაუდი მას შემდეგ გაჩნდა, რაც რომ ბელგიის პარლამენტის ქვედა პალატამ მიიღო დადგენილება, რომლის თანახმადაც კანონი სიგარეტის რეკლამის აკრძალვის შესახებ ძალაში შევა არა ამ თვეში — როგორც ეს აქამდე იყო დადგენილი — არამედ 2005 წლის 31 ივლისიდან (ანუ მაშინ, როცა სიგარეტის რეკლამა სრულიად ევროკავშირის მასშტაბით აიკრძალება).

შეგახსენებთ, რომ ფორმულა ერთის ოთხი ზეპური გუნდიდან სამს „ფერარის", „მაკლარენსა" და „რენოს" სწორედ სიგარეტის მწარმოებელი ფირმები ასპონსორებენ. ამიტომაც იყო, ამ გუნდებმა ბელგიაში მიღებული „ანტისასიგარეტო" კანონმდებლობის პასუხად ფორმულა ერთის წლევანდელი კალენდრიდან ბელგიური გრანპრი რომ ამოაგდებინეს.

ბელგიელები იმედოვნებენ, რომ მას შემდეგ, რაც მათმა პარლამენტმა სიგარეტის რეკლამაზე აკრძალვა ორი წლით გადაავადა, ფორმულა ერთს აღარაფერი შეუშლის ხელს, ბელგიური გრანპრი საგაისო კალენდარში მაინც შეიტანოს.

ქვეყნის ეკონომიკის მინისტრმა სერჟ კუბლამ კატეგორიულადაც კი განაცხადა, რომ „სპა-ფრანკორშამი" გაისად აუცილებლად უმასპიძლებს საფორმულო ეტაპს" და „რომ ამის შესახებ გარანტიები მას თავად სპორტის მაზვშმა ბერნი ეკლსტოუნმა მისცა."

თუმცა თავად მისტერ ეკლსტოუნი ჯერ-ჯერობით არაფერს ადასტურებს. მასთან დაახლოვებულ პირთა ინფორმაციით კი, საგაისო კალენდარი ამ მომენტისთვის საერთოდ არ დამტკიცებულა.

არსებობს 18 სავარაუდო სარბიელის ჩამონათვალი — ამბობენ ისინი — და მართალია, „სპა" ამ ჩამონათვალში ალბათ უნდა ფიგურირებდეს, მაგრამ რაკილა ეტაპთა რიცხვი საბოლოოდ 17-მდე ანაც 16-მდე შემცირდება — არავინ იცის, შერჩება თუ არა რჩეულთა სიას.




დაუბრუნდება ფორმულა-1 სპა-ფრანკორშამს?

# მასტერსს ოსტატები მოაკლდა

**TENNIS MASTERS CANADA**
**მონრეალი. მაგარსაფარი**
**საპრიზო 2,45 მილიონი $**

**პირველი წრე**

**ანდრე აგასი (1, აშშ) — ფრედერიკ ნიმეიერი (კანადა) 6:4, 6:2; არნო კლემანი (საფრანგეთი) — კარლოს მოია (4, ესპანეთი) 7:6 (7:4), 4:6, 6:3; რაინერ შიუტლერი (8, გერმანია) — მიხაილ იუჟნი (რუსეთი) 6:2, 6:4; პარადორნ შრიჩაფანი (11, ტაილანდი) — ალბერტო მარტინი (ესპანეთი) 6:0, 7:6 (7:5); სიმონ ლაროსი (კანადა) — გუსტავო კუერტენი (13, ბრაზილია) 7:5, 7:6 (7:2); იუნეს ელ აინაუი (მაროკო) — მარდი ფიში (აშშ) 6:3, 6:7 (10:12), 6:3; გრეგ რუზედსკი (ბრიტანეთი) — ნიკოლას ლაპენტი (ეკვადორი) 7:5, 6:3**

მონრეალური მასტერსტურნირის პირველ დღეს ოთხი რამ გამოსარჩევი მოხდა — თავის მე-17 მასტერსტიტულის მაძებარმა ანდრე აგასიმ, ვისაც იქ სამჯერ, 1992-95 წლებში უმარჯვია, უპრობლემოდ გაიკაკა მეორე წრისაკენ; მოულოდნელად გავარდნენ მეოთხე ნომრად განთესილი კარლოს მოია და სამგზის როლანგაროსოსანი გუსტავო კუერტენი; და — სულ ბოლოს — დღის განმავლობაში მოხამუშხამუშე წვიმამ მიმწუხრისაკენ სულაც კათხისპირულად მოასხა, რის გამოისობითაც რამდენიმე თამაში მოუმთავრებელი დარჩა.

წინა კვირას ვაშინგტონურ ნახევარფინალამდე ნაომარმა აგასიმ მართლაც კამაცკამაც გაიმეორწრევა. ეგ მით უფრო, რომ მისი მეტოქე თუმც კი მძლავრად მომწოდებელი, მაგრამ მაინც უსახელო კანადელი ნიმეიერი გახლდათ.

კარლოს მოია მისთვის უხერხულ მეტოქესთან, ფრანგ არნო კლემანთან დამარცხდა. კლემანის უხერხულობის გარდა მარცხის მიზეზად ის იმასაც ასახელებდა, რომ ევროთიხნარობის შემდეგ მაგარსაფარზე გადართვა ძალიან გაუჭირდა.

რაც შეეხება გუსტავო კუერტენს, ის სულაც მავანმა უსახელოზე უსახელო კვებეკელმა, ვინმე სიმონ ლაროსმა აოტა. გამარჯვებულ მეტოქეს გუგა ნამატჩევს დამსახურებულად ასხამდა ხოტბას და — ეგ თუ მშობლიური პუბლიკის წინ ჩოგნაობამ გადარია, მე იმან მომიღო ბოლო, ლოსანჯელისად ჩამოსულს დასასვენებლად მხოლოდ ერთი დღე რომ მქონდაო — ასე ამბობდა.

დანარჩენს კი ზემოთ ჩამოწალიკებული ანგარიშები გეტყვით.

**ლევან ძელაურაძე**




მონრეალის მასტერსი წვიმით დაიწყო






ლენოქს ლუისი ვლადიმირ კლიჩკოსთან რემატჩს უარობს

# ლუისმა ხალხი ააჟაჟანა
## კლიჩკო რინგისაკენ იწევს

**მსოფლიოს** ნამდვილი ჩემპიონი კრივში ლენოქს ლუისი სალაპარაკოს აძლევს დიდი კრივის ვეფხვებს აკიდებულ ტურატაბაკებს.

ჰამბურგში მყოფმა ვიტალი კლიჩკომ, ვინც ლუისთან რემატჩს მოითხოვს პირველი, ვითომდა საეჭვო გვემის საპასუხოდ, განაცხადა, რომ ლუისი წლეულს ჩხუბს არ აპირებს და სადეკემბროდ გამოცხადებულ მათ მატჩზე უარსაა.

6 დეკემბერი იყო სავარაუდო თარიღი კლიჩკო-ლუისის ბრძოლის რემატჩისა, რომელიც კლიჩკოს გახეთქილი წარბის გამო ლუისმა მოიგო, თუმც უკრაინელი ქულებით უგებდა. ლუისმა მაგრად დაუბეჟა თავ-პირი უფროს კლიჩკოს, თუმც იმას სალაპარაკო მიეცა, ვიგებდი და გამაფუჭესო. რემატჩის საკითხიც ამიტომ გაჩნდა და ლუისიც ყაბულს იყო.

გერმანიაში მცხოვრებმა კლიჩკოს პრომოუტერმა, კლაუს-პეტერ კოლმა თქვა, რომ ლუისს მათთვის შეუტყობინებია, ჩემს გეგმებში თქვენ ვერა გხედავთო.

„თუ ეს მართალია, გავგიჟდები — განაცხადა კლიჩკომ — გაუგონარი ამბავია. კოლმა კალიფორნიიდან შემატყობინა, რომ ლუისი უარზეა. ჯერ იყო და, ამბობდა, რომ მე თვალი ისე მტკივა, წლეულს ვერ ვიჩხუბებ. მერე ჩემი თვალი დამოუკიდებელმა ექსპერტებმა გამოიკვლიეს და ვარჯიშის უფლება მომცეს. მე მგონია, ლენოქსი რინგიდან იოლად წასვლას გეგმავს. რად უნდა თავის ტკივილი? ისეც გამოეთხოვება სპორტს. ის დიდი ჩემპიონია, მაგრამ, ვფიქრობ, ხვდება, რომ ჩემთან კრივობა გაუძნელდება. მე ვაცხადებ, რომ მასთან საბრძოლველად მზად ვარ. ჩვენს შეხვედრას ხალხი ითხოვს, ის კი ამბობს, რომ რემატჩზე ლაპარაკის განახლება მხოლოდ ახალი წლიდან სურს."

ახლა კი კოლი ამბობს, რომ ვიტალის საშემოდგომო მეტოქეს შეურჩევს, ლუისის ბანაკს კი ახალი წლის პირველი დღიდანვე შეეხმიანება და პირობას შეახსენებს.

რატომ იქცევა ასე ნამდვილი ჩემპიონი?

თვითონ უკეთ იცის. ის კია, რომ სალაპარაკო გააჩინა, თუმცა, ლუისს უარესი ლაპარაკები გადაუტანია.

**ალბერტ ხაჩატურიშვილი**



# გერმანიაში ყველაზე მოწესრიგებული ბოლოგანია

*კრამნიკ-ლეკოს შორის მსოფლიოს ჩემპიონატის ნახევარფინალური მატჩის გამართვას საშველი რომ არ დაადგა. მოჭადრაკეები ერთმანეთში მჯობნის გარკვევას სხვა ტურნირებში ცდილობენ, თუმცა განსაკუთრებული მონდომებაც არ ეტყობათ.*

*წლეულს დორტმუნდამდე ისინი ერთმანეთს ოთხჯერ გადაეყარნენ და ოთხჯერვე მშვიდობიანად, ყაიმით დაშორდნენ. მეხუთე შეხლა ორშაბათს დორტმუნდის სუპერტურნირის მეხუთე ტურში მოხდა და, რა გასაკვირია, ისევ ყაიმი გამორდა*

**გუშინწინ** ლეკო შავი ფიგურებით თამაშობდა და კრამნიკისგან თავდასაცავად სიცილიური დაცვით დაწყება არჩია, მაგრამ მოგვიანებით ცენტრში უპირატესობის მოსაპოვებლად დაუწყო ბრძოლა რუსს და თავისი ტერიტორიის მისადგომი მსუბუქი ფიგურებით გაავსო.

მეცხრე სვლაზე მეტოქეებმა როქი გააკეს და თავიანთი ხელმწიფეები საიმედო კედლის უკან რომ დაიგულეს, ერთმანეთის ფლანგებს მიაწყდნენ. თავიდან კრამნიკმა იძალა და მეტოქის ფიგურებს უკან დაახევინა, თუმც ბუზებს არც ლეკო ითვლიდა და როგორც კი ხელსაყრელი მომენტი ნახა, რუსს იქით შეუტია. მდგომარეობა განსაკუთრებით 24-ე სვლაზე დაიძაბა, როცა ლეკომ კრამნიკის მეფის ფლანგს, ორი ეტლი და ლაზიერი დაუმიზნა. კრამნიკმაც შეტევა დაივიწყა, მთელი ძალები მეფის დასაცავად მომართა და დააზევინა უნგრელს. რამდენიმე გაცვლის შემდეგ კრამნიკს პაიკი შერჩა და შეუდგა კიდეც მის გაყვანას, თუმცა ლეკომ გამსვლელი პაიკიც მოუკლა და ხარისხითაც დაწინაურდა. ვერც უნგრელმა გამოიყენა უპირატესობა და 52-ე სვლაზე, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ და როგორც მოსალოდნელი იყო, მტერს ზავზე შეუთანხმდა.

დორტმუნდის ფავორიტობააყრილმა ინდუსმა ვიშვანათან ანანდმა გასულ უქმეებზე ზედიზედ ორი თამაში წააგო და მეოთხე ტურის შემდეგ ცხრილის ბოლო საფეხურზე იყო გართხმული. გამძვინვარებულმა ინდოელმა ვეფხვმა მეხუთე ტურში საბრალო მასპინძელ, ჯერ კიდევ ყმაწვილ, არკადი ნაიდიჩზე იყარა ჯავრი.

კრამნიკ-ლეკოს პარტიის ანალოგიურად დაიწყო ნაიდიჩ-ანანდის შეხვედრაც, თუმც შემდეგ ორივე მხარემ თავიანთი ტერიტორიის გაძლიერების ნაცვლად უფრო წინ წაწევა და მეტოქეს ფლანგის დარბევა დაიწყო, ამ. შეხლა-შემოხლაში კი უფრო გამოცდილმა ინდუსმა იყოჩაღა, საკუთარი ტერიტორიიდან მეტოქის ფიგურები განდევნა და მის მიწას დიდი ძალებით შეესია. ბოლოს ანანდი ნაიდიჩის ხელმწიფის ტალატისკენ დაიძრა. გერმანელმა ბოლო საზარბაზნე ხორცი გაიღო და ბოლობოლო ხელები მაღლა ასწია, უფრო ზუსტად მეტოქეს ხელი გაუწოდა.



ჭაბუკმა გერმანელმა არკადი ნაიდიჩმა ვერც ვიშვანათან ანანდს მოუგო

მეხუთე ტურში ყველაზე მოკლე პარტია აზერბაიჯანელი თეიმურაზ რაჯაბოვისა და ტურნირის მოულოდნელ ლიდერ მოლდაველ ვიორელ ბოლოგანის შეხვედრა გამოდგა. მოლდაველმა ახალგაზრდა ბაქოელთან თავიდანვე დაცვითი ტაქტიკით ითამაშა და მე-20 სვლაზე ყაიმით დაშორდა მას.

მეხუთე ტურის შემდეგ პირველი წრე დასრულდა. ცხრილის ერთპიროვნული ლიდერი ვიოლერ ბოლოგანი გახლავთ, რომელსაც ხუთი თამაშიდან ოთხი ქულა ამოულია და მთელი ერთი ქულით უსწრებს მომყოლ ვლადიმერ კრამნიკს. ორ-ორი ქულით მომდევნო ოთხ ადგილს დანარჩენი ოთხი მოჭადრაკე რაჯაბოვი, ლეკო, ნაიდიჩი და ანანდი ინაწილებენ.

შეგახსენებთ, რომ დორტმუნდში ცენტრალური ტურნირის გარდა სხვა საჭადრაკო ღონისძიებებიც მიმდინარეობს.

გერმანელთა 14 წლის ქართველი მამლუქი დავით ბარამიძე რუს დიდოსტატ ვლადიმერ ბელიკოვთან ათ პარტიას თამაშობს. მეხუთე შეხვედრის შემდეგ წინ რუსია — 3-2.

**ლუკა ბეგლარაძე**



REUTERS ბუენოს აირესიდან



REUTERS სტრატმორიდან

# გაუჩო და კოვბოი

ბუენოს აირესის გარეუბან პალერმოში დიდი გაუჩოობა გახურებულა. ამგვარ გართობას ყოველწლიურად აწყობს სოსიედად რურალი, არგენტინელ ფერმერთა და მიწისმფლობელთა ყველაზე გავლენიანი ერთობა.

ამასობაში კი როდეო გახურებულა ამერიკაში, სტრატმორში. ამ როდეოს პირველი შეჯიბრი „სანფერმინის" ფიესტას გავს, კოვბოიმ რბენით უნდა გაასწროს ხარი. ჰოდა, ერთ ხალისიან კოვბოის შარვალი გაუხდია და ისე გამოქცეულა.

# რეალი ჩავიდა

მიხვდით, ალბათ, რაც ხდება: „ჩინელ დრაკონთა" ძლევის შემდეგ ტოკიოს ჩაფრენილია მადრიდის „რეალი". ნარიტას აეროპორტში შეშლილ გოგოებს ვერ დათვლი, თუმცა, ბიჭებიც არ არიან ცოტა. „რეალი" აგრძელებს თავის აზიურ ტურნეს.



REUTERS ტოკიოდან

# ოლიმპიურ ტაძარში



REUTERS პეკინიდან

ჩინეთმა ოფიციალურად წარადგინა 2008 წლის ზაფხულის ოლიმპიადის სიმბოლიკა. დიდი ცერემონიალი პეკინში, ციურ ტაძარში გაიმართა. იქ მიწვეული იყო კინოვარსკვლავი ჰონკონგელი კომიკოსი ჯეკი ჩანი, რომელმაც მაგიდის ჩოგბურთის ოლიმპიურ ჩემპიონ გოვოსთან ერთად გახსნა ღონისძიება.



REUTERS ლოს ანჯელესიდან

# კობი დღეს და ხვალ

კობი ბრაიანტი და მისი ცოლი ვანესა თინეიჯერთა რჩეულების ყოველწლიურ დაჯილდოებაზე მისულან. თინებმა კობი წლის სპორტსმენ კაცად აირჩიეს და ეს სახალისოცაა. თუმც კი, ცოლთან ხუტება და ჯილდოები „ლეიკერსის" ლიდერს ხვალინდელი უსიამო დღისგან ვერ დაიცავს. დაბა ივლის სასამართლოში ბრაიანტის საქმის სმენა იწყება, მას მავან კოლორადოელ ქალზე ძალადობა ედება ბრალად. ვანესამ კი ვითომ არაფერი იცის.


სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თაყართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გია ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ლარჯანი, გიორგი ვაშაკიძე, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, რუსუდან დარსაველიძე, სვეტა დევაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, მალხაზ ჭუმბურიძე



რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge